პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 279 (10055) | ხუთშაბათი, 25 ნოემბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

მშრომელთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისათვის. — დეპუტატთა დახმარებით. საყოფაცხოვრებო დანიშნულების საწარმოები. ამომრჩეველთა მოთხოვნების შესაბამისად. ზრუნვა ბავშვთა სწავლა-აღზრდისათვის. წინადადებები, რომლებიც განხორციელდა (მე-2 გვერდი).

მოწინავე გამოცდილების ტრიბუნა. — როგორ გავადიდეთ მეცხოველეობის პროდუქტიულობა (მე-2 გვერდი).

ანდრია იანუარის-ძე ვიშინსკი (მე-3 გვერდი).

გამოჩენილი მოაზროვნე და რევოლუციონერ-დემოკრატი (მე-3 გვერდი).

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია. — ალექსანდრე კორნეიჩუკის სიტყვა (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანიმუშოდ მოვაწყოთ ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა-გადამუშავება

ციტრუსები ჩვენი რესპუბლიკის სუბტროპიკული მეურნეობის სიამაყეა. შემოდგომის ძვირფასი ხილიდან იგი თითქმის ყველაზე გვიან შემოდის და ზამთარში ამკობს მშრომელთა სუფრას. ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინი მეტად სასარგებლო, არომატიანი, უხვვიტამინიანი ხილია.

ამიტომ გასაგებია ის დიდი ყურადღება და მზრუნველობა, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენენ ციტრუსოვანთა კულტურის განვითარებისადმი. ეს ნათლად არის ასახული ჩვენი პარტიის XIX ყრილობის რეზოლუციებში, სადაც ნათქვამია, რომ ხუთწლედის მანძილზე 4,5-ჯერ გადიდდეს ციტრუსოვანი კულტურების ფართობი. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა მოითხოვა გადაჭრით გაუმჯობესდეს ციტრუსოვანთა ნარგავების მოვლა. პლენუმმა დაავალა პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს მიიღონ საჭირო ღონისძიებანი, რათა დროზე აიღონ სუბტროპიკული კულტურების მოსავალი და შეასრულონ დამზადების გეგმა.

სუბტროპიკული რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა-გადამუშავების, მისი დანიშნულებისამებრ გადაგზავნის სანიმუშოდ მოწყობა წარმოადგენს. ციტრუსების ნაყოფის კრეფა-გადამუშავებაში წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია არსებული პირობების უნარიანად გამოყენებაზე. წელს ჩვენი მეციტრუსეები წინა წლებთან შედარებით უკეთესად მოემზადნენ სეზონისათვის. შემფუთავი ქარხნების დიდ უმრავლესობაში დროულად მოეწყო საყალიბო და დამხარისხებელი მანქანების კაპიტალური და მიმდინარე რემონტი, წესრიგზე მოიყვანეს ელექტროძრავები და სხვა დანადგარები. საჭირო რაოდენობით მოიმარაგეს ტარა-მასალა, ციტრუსების ნაყოფის შესახვევი ქაღალდი.

დიდი ოქტომბრის დღესასწაულის დღეებში მოსკოვისა და ლენინგრადის მშრომელებს გაეგზავნათ 21 ვაგონი ციტრუსოვანთა ნაყოფი, თბილისის მშრომელებმა მიიღეს 6 ვაგონი ნაყოფი, სოჭელებმა — 2 ვაგონი. მუშაობას შეუდგნენ ბათუმის № 3, ქობულეთის, ჩაქვის, დრანდის შემფუთავი ქარხნები, გალის და სხვა პავილიონები. პირველმა დღეებმა გვიჩვენა, რომ ჩაქვის, ბათუმის № 3, დრანდის შემფუთავი ქარხნები მზად შეხვდნენ ციტრუსების მიღება-გადამუშავების სეზონს.

ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფისათვის კარგად მოემზადნენ ურეკისა და ციხისძირის საბჭოთა მეურნეობები, სუბტროპიკული რაიონების მთელი რიგი კოლმეურნეობები. ციხისძირის საბჭოთა მეურნეობაში მზრუნველობა არ მოაკლეს ციტრუსოვანთა ნარგავებს, და შედეგიც კარგია. განსაკუთრებით უხვია მოსავალი მესამე აგროგანყოფილებაში. მეციტრუსე დ. გაგუა მისთვის მოსავლელად მიჩენილ თვითეულ ხეზე 600 ცალ მანდარინს კრეფს. მახარაძელმა მეციტრუსეებმა უკვე შეასრულეს ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების დავალება.

„საქკონსერვტრესტი“, შემფუთავი ქარხნები, ადგილებზე დამზადების რწმუნებულები და მეციტრუსეები ვალდებული არიან პირველ რიგში უზრუნველყონ ციტრუსების ნაყოფის კრეფა და დამზადება დადგენილი სახელმწიფო სტანდარტის მტკიცედ დაცვით.

როგორც რედაქციაში შემოსული მასალებიდან ჩანს, ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა-გადამუშავების საქმეში ყველგან როდია კარგი მდგომარეობა. ზოგან ნაკლები ყურადღება ექცევა მუშების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

ქობულეთის შემფუთავ ქარხანაში მუშათა საერთო საცხოვრებელი წესრიგში არ არის მოყვანილი. რემონტი უხარისხოდ შესრულდა. მუშათა საცხოვრებელი ბინების ფანჯრებში მინები არ ჩაუსვამთ. ეს იმითაც აიხსნება, რომ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობებით სათანადოდ არ დაინტერესებულან ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები. ამავე ქარხნის სასადილოში უხარისხო კერძებს ამზადებენ. ამ საკითხის მოსაგვარებლად ნაკლებად ზრუნავს ქალაქის სამომხმარებლო კოოპერაციის თავმჯდომარე ამხ. გ. კილაძე.

ადგილობრივი საბჭოთა და დამამზადებელი ორგანიზაციების უყურადღებობით აიხსნება ისიც, რომ ალამბრის საბჭოთა მეურნეობაში პლანტაციები დაზიანებულია და კრეფის წესს ამახინჯებენ. არის ფაქტები, როცა მანდარინს მთლიანად მწვანეს და ყუნწიანად კრეფენ. ამ მეურნეობაში მოუწესრიგებელია ციტრუსოვანთა ნაყოფის დატაცებისაგან დაცვა. ეს შეუწყნარებელია. კვირიკეს შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობიდან მოტანილი 3 ტონამდე მანდარინიდან კარგი ხარისხისა მხოლოდ 600 კილოგრამი აღმოჩნდა.

აუცილებელია პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღებით და უფრო ოპერატიულად იმუშაონ ციტრუსოვანთა მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხებზე, ფართოდ გაიაზონ მეციტრუსეებში პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა პირობის შექმნას ციტრუსოვანთა მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის. უწინარეს ყოვლისა მთლიანად უნდა შესრულდეს ციტრუსების გაშენებისათვის ნიადაგის მომზადების დავალება, მკვეთრად გაუმჯობესდეს ნარგავების მოვლა და, რაც მთავარია, საუკეთესოდ მოეწყოს ციტრუსების დაცვა ზამთრის ყინვებისაგან. ჩვენი რესპუბლიკის ციტრუსოვანთა მეურნეობის განვითარებაში დიდი როლი უნდა შეასრულონ სამეცნიერო-კვლევითმა ორგანიზაციებმა. მათი გადაუდებელი ამოცანაა მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვით, მეცნიერთა და პრაქტიკოს მუშაკთა ურთიერთ თანამეგობრობით მიღწეულ იქნას ახალი ყინვაგამძლე ჯიშების გამოყვანა, გამომუშავებულ იქნას ლიმონის ავადმყოფობის — „მალსეკოს“ საწინააღმდეგო ღონისძიებანი. ამ მიმართულებით კი ჯერჯერობით ცოტა რამ კეთდება.

სუბტროპიკული რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები მოწოდებული არიან ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ დროულად უზრუნველყონ ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა-გადამუშავება სახელმწიფო სტანდარტის მტკიცედ დაცვით, მოაწყონ მისი შეუფერხებელი გადაზიდვა და ქვეყანას მისცენ ციტრუსოვანთა მეტი ნაყოფი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

გაითვალისწინა რა რაიონული ჰიდროელექტროსადგურების, თბოელექტროსადგურებისა და საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ელექტროქსელების მშენებლობის გაზრდილი მოცულობა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგინებით შექმნა სსრ კავშირის ელექტროსადგურთა მშენებლობის საერთო-საკავშირო სამინისტრო, გადასცა რა მას სსრ კავშირის ელექტროსადგურთა სამინისტროს შემადგენლობიდან სამშენებლო-სამონტაჟო საწარმოები და ორგანიზაციები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სიის თანახმად.

სსრ კავშირის ელექტროსადგურთა მშენებლობის მინისტრად დაინიშნა ამხ. თეოდორე გიორგის-ძე **ლოგინოვი.**

მწყობრში ჩადგა მინგეჩაურის ჰესის მეექვსე ტურბინგენერატორი

ბაქო, 22 ნოემბერი. (საკდესი). დღეს მინგეჩაურის ჰიდროკვანძის მშენებლობაზე ამუშავდა უკანასკნელი — მეექვსე ტურბინგენერატორი. მინგეჩაურის ჰესის დენი მიიღეს რესპუბლიკის სამრეწველო ცენტრებმა — ბაქომ, სუმგაიტმა, კიროვაბადმა, დაშქესანმა. ელექტროენერგია მიიღო აგრეთვე მახლობელი რაიონების ბევრმა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ და მტს-მა.

ახლა მშენებლებს გაჰყავთ ელექტროგადაცემის მძლავრი ხაზები სხვადასხვა მიმართულებით. დამთავრდა ბაქომდე ელექტროგადაცემის მეორე მაღალვოლტიანი ხაზის გაყვანა.

მეექვსე ტურბინგენერატორის ამუშავებასა და კაშხალის მშენებლობის დამთავრებასთან დაკავშირებით მინგეჩაურში გაიმართა მშენებელთა მიტინგი.

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★ ★

შაქრის ჭარხლის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა შესრულებულია

გორის რაიონის კოლმეურნეობებმა 20 ნოემბრისათვის 102 პროცენტით შეასრულეს შაქრის ჭარხლის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა. ამოღებულია და სახელმწიფოს ჩაბარდა 378 ათასი ცენტნერი ჭარხალი.

რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით ჩაბარონ სახელმწიფოს 25 ათასი ცენტნერი შაქრის ჭარხალი.

აბაშის რაიონის კოლმეურნეობებმა თივის დაგროვების გეგმა შეასრულეს

აბაშის რაიონის კოლმეურნეობებმა თივის დაგროვების გეგმა 100 პროცენტით შეასრულეს. სულ დაგროვებულია 5.000 ტონა თივა. უხეში საკვების დაგროვება გრძელდება.

რუსთავის მეფოლადეების ახალი მიღწევები

რუსთავი. (საკ. კორ.). მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების ინიციატივით გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების მიღწევისათვის ბრძოლაში რუსთავის მეფოლადეები შრომითი თავდადების საუკეთესო მაგალითს გვიჩვენებენ.

ახალი ტექნოლოგიით მუშაობის პირველ დღეს მემარტენეებმა შეძლეს ჩქარისნულ ღნობათა ხანგრძლივობის საშუალოდ 1 საათით შემცირება. 17 ნოემბერს მეფოლადე გ. სიგუამ ღნობა განახორციელა 6 საათსა და 50 წუთში ნაცვლად 10 საათისა. რამდენიმე დღის შემდეგ ასეთსავე მაჩვენებელს მიაღწია მეფოლადე შ. კუხალეიშვილმა. მომდევნო დღეს მეფოლადე შ. შუბითიძემ ეს დრო 5 წუთით შეამცირა და ფოლადი 6 საათსა და 45 წუთში მოგვცა.

მეფოლადე გ. ბერეკაშვილმა გვიჩვენა კიდევ უკეთესი მიღწევა — ფოლადის მაღალხარისხოვანი ნადნობი მოგვცა 6 საათსა და 20 წუთში.

რა გვიჩვენა ციტრუსოვანთა კრეფის პირველმა დღეებმა

თბილი და მზიანი შემოდგომაა აჭარაში. ამან მნიშვნელოვნად დააჩქარა ციტრუსოვანთა ნაყოფის მასობრივად შემოსვლა. ნოემბრის შუა რიცხვებისათვის მოკრეფილი და გადამუშავებული იყო 8 მილიონ ცალზე მეტი ნაყოფი. აქედან უკვე გაგზავნილია დანიშნულებისამებრ 280 ტონამდე მანდარინი.

ციტრუსოვანთა მოსავლის აღება-გადამუშავებისათვის კარგად მოემზადნენ მახინჯაურის, ახალშენის, ციხისძირის ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობები, ქობულეთის რაიონის ულიანოვკის კალინინის სახელობის, ჩაისუბნის ლენინის სახელობის, ბათუმის რაიონის ურეხის კიროვის სახელობის, მახინჯაურის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობები, ბათუმის მესამე და ჩაქვის შემფუთავი ქარხნები. ბათუმის შემფუთავმა ქარხანამ მიიღო და გადაამუშავა 2 მილიონამდე ცალი ნაყოფი. მოწინავე მუშები ნ. თებიძე, ლ. შოთაძე, ა. ბეჟანიძე, ფ. ცქიფურიშვილი და სხვები დღეში 1,5-2 ნორმას ასრულებენ.

ნაყოფს მასობრივად აბარებენ აღნიშნულ შემფუთავ ქარხანას მახინჯაურის, ახალშენის და გონიოს ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობები, აგრეთვე რაიონის კოლმეურნეები.

წარმატებით მუშაობს ჩაქვის შემფუთავი ქარხანა, რომელსაც რ. ცეცხლაძე ხელმძღვანელობს. ქარხანამ უკვე მიიღო და გადაამუშავა 229 ტონა ნაყოფი.

კრეფა-დამზადების პირველმა დღეებმა არსებითი ნაკლოვანებებიც გამოავლინა. სეზონს მოუმზადებელი შეხვდა ქობულეთის შემფუთავი ქარხანა. განსაკუთრებით ცუდია მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები. საერთო საცხოვრებლები შეუკეთებელია და საჭირო ინვენტარი საკმაო რაოდენობით არა აქვთ.

სრულიად მოუწესრიგებელია მუშათა კვება. მუშათა სასადილოს, რომელიც ქობულეთის ქალაქის სამომხმარებლო კოოპერაციას ეკუთვნის, არ გააჩნია საჭირო ჭურჭელი. სასადილო ცუდად მარაგდება სასურსათო პროდუქტებით. მაგალითად, 12 ნოემბერს სრულებით არ მოუმზადებიათ კერძები. ბუფეტში არ მოიპოვება ძეხვეული, ყველი, პაპიროსი, ლიმონათი, კანფეტი და სხვა პროდუქტი.

ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში უხეშად არღვევენ ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფის აგროწესებს. ალამბრის საბჭოთა მეურნეობაში მწვანე, არასტანდარტულ ნაყოფს ჭკრეფენ, ამასთან დაუყალიბებლად აბარებენ და ნაყოფი საგრძნობლად არის დაზიანებული. კიდევ უარესი მდგომარეობაა კვირიკეს შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობაში.

ქობულეთის, ჩაქვის, ბათუმის შემფუთავ ქარხნებში ხშირად გამორთავენ ხოლმე ელექტროდენს და მუშაობა ჩერდება. რკინიგზის ქობულეთის ბაქანზე, სადაც ციტრუსოვანთა ნაყოფით ვაგონების დატვირთვა ხდება, ელექტროსინათლე არ არის.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ვალდებული არიან სასწრაფოდ გამოასწოროონ ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა-გადამუშავების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი, უზრუნველყონ მთელი მოსავლის უდანაკარგოდ აღება.

დ. პაიჭაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მზადდება სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის

აგიტსაუბრები

კარგი ხანია თბილისის პლეხანოვის სახელობის კლუბში აგიტპუნქტი ორსეზონს. ამ აგიტპუნქტს სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიული ორგანიზაცია ხელმძღვანელობს.

აგიტპუნქტში გაერთიანებულ 22 აგიტატორს სააგიტაციო მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვს. ამ დღეებში აქ განსაკუთრებული გამოცოცხლება იგრძნობა. დაიწყო სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის მზადება. აგიტატორები უკვე შეუდგნენ საუბრების გამართვას. ისინი დიასახლისებს აცნობენ არჩევნების დებულებას, საუბრებს კარგად უკავშირდებენ ქალაქ თბილისის, კერძოდ, ლენინის რაიონის მშრომელთა წინაშე მდგომ ამოცანებს.

პავლე ბედენაშვილს ბრიგადირის ქუჩაზე მცხოვრები დიასახლისები იცნობენ როგორც კარგ აგიტატორს, რომელსაც თავისი მართალი, ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული აგიტაციით ყოველთვის შეუძლია მსმენელთა დაინტერესება. ამიტომ ისინი დაუზარებლად იკრიბებიან აგიტატორის საუბრების მოსასმენად. პ. ბედენაშვილი უკვე ესაუბრა დიასახლისებს თემებზე — „სახალხო სასამართლოები სოციალისტური კანონიერების სადარაჯოზე“, „სსრკ საბჭოთა კონსტიტუცია მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციაა“, დიასახლისებს გააცნო აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის პასუხი „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე.

ქარხნის ინჟინერ-ქიმიკოსმა თამარ ხიდაშელმა, რომელიც რკინიგზის ქ. № 5-ში მცხოვრებ დიასახლისთა შორის ეწევა საagიტაციო მუშაობას, სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების გაცნობასთან ერთად მსმენელებს წაუკითხა სსრკ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „მოსახლეობაში მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის დროს დაშვებული შეცდომების შესახებ“. დიასახლისთა დიდი ინტერესი გამოიწვია მისმა საუბარმა თემაზე: „ვებრძოლოთ კაპიტალიზმის გადმონაშთებს“.

ამ დღეებში გამოვა სახალხო სასამართლოების არჩევნებისადმი მიძღვნილი კედლის გაზეთის „ამომრჩეველის ხმის“ მორიგი ნომერი.

ი. ბოლქვაძე.

მხატვრული თვითმოქმედების VIII რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე

დედაქალაქის მშრომელები უდიდეს ინტერესს იჩენენ მხატვრული თვითმოქმედების VIII რესპუბლიკური ოლიმპიადისადმი. ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი ვერ იტევს ოლიმპიადაზე დასწრების ყველა მსურველს.

ოლიმპიადის პირველ დღეს საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ს. ბაქრაძის ხელმძღვანელობით კარგად შეასრულა სიმღერა „ხმა ვაზისა“ და ძველი ქართული სიმღერა „სუფრული“ (სოლისტები ვ. ბაქრაძე და გ. სხილაძე).

ყაზბეგის კულტურის სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მიერ კარგად იქნა შესრულებული სიმღერა „ბაღია ჩვენი სამშობლო“ (მუსიკა ნ. თოფაძის, ტექსტი გ. გიგაურისა), ხალხური სახუმარო სიმღერები — „ქალო, ჩემსკენ მოიხედე“ და „მოდი ქალო, ჩემთანა“. საამოდ ყღერდა სოლისტების მირიანაშვილისა და ბურდულის წკრიალა ხმები. ანსამბლმა, რომელსაც ნ. თოფაძე ხელმძღვანელობს, მაყურებელთა სამართლიანი მოწონება დაიმსახურა.

მრავალფეროვანი და მდიდარი პროგრამით გამოვიდა ზესტაფონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ლოტბარი მ. სებუა, ქორეოგრაფი მ. შუბაშიკელი). ანსამბლმა წარმატებით შეასრულა „სიმღერა პარტიაზე“ (ტექსტი რ. ყენიასი, მუსიკა მ. ჩირინაშვილისა). მაყურებლებმა გულთბილად მიიღეს ანსამბლის მიერ შესრულებული ხალხური სიმღერა „ბროლის ყელსა“. კარგი იყო ახალგაზრდობის ცეკვა.

სცენაზეა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. ქარსელაძე, ქორეოგრაფი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. ბახტაძე). ამ თვითმოქმედი კოლექტივის მიერ შესრულებული სიმღერები „გამარჯვების სიმღერა“, ხალხური „ოროველა“ და „ლხინი სოფლად“ (მუსიკა ვ. ცაგარეიშვილის, ტექსტი ი. ნინეშვილის) მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ვოროშილოვის სახელობის კლუბთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა კოლექტივმა (ხელმძღვანელი კ. ჩივაძე) მოხდენილად შეასრულა ცეკვა „დავლური“. „ქართული“ ლამაზად იცეკვეს ლ. ლადუამ და ნ. გოცირიძემ. სოლისტ მ. მოსეშვილის შესრულებით წარმოდგენილ იქნა აზერბაიჯანული ცეკვა „ბამბის ხვევა“.

კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მუშამ ნ. ხვედელიანმა წაიკითხა საკუთარი ლექსი — „მე კიროველი ვარ“, ხოლო კოლმეურნე პოეტმა ს. ჩანგაშვილმა (ახმეტის რაიონი) საკუთარი ლექსი „მოხუცი მწყემსის მოგონება“.

რეპერტუარის ორიგინალობით და შესრულების ოსტატობით გამოირჩეოდა ცხაკაიას კულტურის სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ლოტბარი ლ. მიმინოშვილი, ქორეოგრაფი დ. მურღულია), რომელმაც მაღალი ოსტატობით წარმოადგინა ლიტერატურულ-მუსიკალური მონტაჟი „ქორწილი ჩვენს კოლმეურნეობაში“ (ტექსტი ა. აბშილავასი, დადგმა კ. კალანდაძისა).

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის (ლოტბარი ს. კუხიანიძე, ქორეოგრაფი ე. გუშბერიძე) მიერ შესრულებულმა სიმღერამ „ჩვენი სამშობლო“ (ტექსტი ა. მირცხულავასი, მუსიკა რ. ლაღიძისა) საერთო მოწონება დაიმსახურა. საამოდ ყღერდა ანსამბლის მიერ შესრულებული საბჭოთა ხალხის მისწრაფებებისა და აზრების გამომხატველი სიმღერა „ჩვენ მშვიდობა გვინდა“ (ტექსტი მ. გოგიაშვილისა, მუსიკა ვ. ცაგარეიშვილისა).

განსაკუთრებული წარმატება ხვდა საქართველოს კოროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მომღერალთა გუნდს (ხელმძღვანელები ჯ. ბალიაშვილი და ნ. ფაილაძე). დებმა ჩაფიჩაძეებმა საამოდ იმღერეს „გიყვარვარ თუ არ გიყვარვარ“ (მუსიკა ს. მირიანაშვილისა). მაღლაფერიძემ გვიჩვენა მხატვრული ტანვარჯიშის შესრულების მაღალი ტექნიკა.

მაყურებელთა ყურადღებას იპყრობს კულტურის ცენტრალური სახლის მეფანდურეთა ანსამბლი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მ. არჯევანიშვილის ხელმძღვანელობით. მოწონება დაიმსახურა ქართულ საკრავთა ჯგუფმა (ხელმძღვანელი მ. ყარალაშვილი).

ამიერკავკასიის რკინიგზის საავადმყოფოს მომღერალთა გუნდმა თამაზოვას ხელმძღვანელობით ლამაზად შეასრულა უკრაინული ხალხური სიმღერა „გაწყდა რკალი“.

სცენაზეა ამბროლაურის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელმაც მაყურებლის ყურადღება თავიდანვე მიიპყრო ლამაზი ტანსაცმლით. ანსამბლის მიერ შესრულებულ სიმღერებს — „მაყრული“, „დაილოცოს საქართველო“, „ფერხული“, „ერთხელ წისქვილს წასვლისათვის“ — განსაკუთრებული მოწონება ხვდათ. გ. ჯაფარიძემ სტვირზე კარგად შეასრულა სიმღერა „ხალხური სალამი თბილისს“.

ახალქალაქის კულტურის სახლთან არსებულმა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა (ხელმძღვანელი პ. გრიგორიანი, ცეკვების დამდგმელი კ. ხოდიკიანი) მაღალმხატვრული ოსტატობით შეასრულა სომხური ხალხური სიმღერები.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა მესტიის რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა (ხელმძღვანელი პ. დადვანი, ქორეოგრაფი გ. მარგიანი).

ამით დამთავრდა რესპუბლიკური ოლიმპიადის პირველი სალამო.



მხატვრული თვითმოქმედების VIII რესპუბლიკური ოლიმპიადა. **სურათზე:** გაერთიანებული გუნდი ასრულებს საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნს. ფოტო ვ. გინზბურგისა.

საგაზეთო მშენებლობა

მშრომელთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისათვის

★

დეპუტატთა დახმარებით

უტრალო თვალის გადავლებითაც დარწმუნდება ადამიანი, თუ როგორ იცვლის სახეს რაიონი, თანდათან კეთილმოწყობილი და ლამაზი ხდება იგი. ამჟამად დიდი სამუშაოები მიმდინარეობს ბინების მშენებლობა-შეკეთებისათვის. დეპუტატები ანოწმებენ მშენებლობის ხარისხს, შრომის ორგანიზაციას და საჭირო შემთხვევაში მშენებლებს აძლევენ კონკრეტულ მითითებებსაც, რომელთა განხორციელება ხელს უწყობს სამუშაოების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებას. ზაქრაძის ქ. № 39 სახლის შეკეთების დროს მდარე ხარისხით სრულდებოდა სამღებრო სამუშაოები. საქმეში დეპუტატთა ჩარევის შემდეგ ნდგომარეობა გამოსწორდა. ასევე აქტიური მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა საჭილაოს ქ. № 43 სახლის რემონტის ჩატარებაში. მსგავსი ფაქტების ჩამოთვლა კიდევ შეიძლებოდა.

რაიონული საბჭოს დეპუტატთა თაოსნობით სახლთმმართველობებს შორის უფრო სრულყოფილად გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. თუ უწინ შეჯიბრებების შემოწმება ხდებოდა ძირითადად საბინაო და საოჯახო ქირის აწოლების მიხედვით, ახლა შეჯიბრების ვალდებულებებში გათვალისწინებულია აგრეთვე ეზოებში მტკიცე სანიტარული წესრიგის დაცვა, მიმდინარე რემონტის მაღალხარისხოვნად გაკეთება, სახანძრო ინვენტარის მოვლა-პატრონობა და სხვ. ამან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობის საქმეს.

საბინაო მეურნეობის მუდმივი კომისია ეხმარება მშრომელებს საბინაო პირობების გაუმჯობესებაში. ამ დღეებში კომისიის დახმარებით ბინა მიეცა პენსიონერ მ. გეგიძეს.

ამომრჩეველთა მოთხოვნები რომ დავაკმაყოფილოთ, კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ. ერთ-ერთ ასეთ გადაუდებელ სასწრაფო საქმეს წარმოადგენს ავჭალაში ტრამვაის ხაზის მშენებლობა და ავჭალის გზატკეცილის კეთილმოწყობა.

გ. სამხარაძე,
ინჟინერი, რაიონული საბჭოს დეპუტატი.

საყოფაცხოვრებო დანიშნულების საწარმოები

რაიონის მოსახლეობის მომსახურებისათვის ყოველწლიურად ფართოვდება მაღაზიების, სასადილოების, სასაუზმეების ქსელი. სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტები იხსნება ამომრჩეველთა მოთხოვნების, მათი საჭიროების გათვალისწინებით. წელს ხილ-ბოსტნეულის ორი მაღაზია მოეწყო, ერთი მათგანი კიროვის სახელობის ჩარხშენებელი ქარხნის მახლობლად, მაგნიტოგორსკის ქუჩაზე, რამაც გარკვეული წვლილი შეიტანა ხილ-ბოსტნეულით ქარხნის მუშა-მოსამსახურეების მოკარაგების საქმეში.

უკანასკნელ ხანებში გაიხსნა რაიონული სამზარეულო, რომელიც რაიონის ყველა სასკოლო ბუფეტს ამარაგებს. ამან დიდად გაუმჯობესა სასკოლო ბუფეტების მიერ მოსწავლეთა და მასწავლებელთა მომსახურება. მშრომელთათვის კარგი საჩუქარია აგრეთვე ავჭალის გზატკეცილზე სასაუზმე-სასადილოს გახსნა.

ასეთ ღონისძიებათა განხორციელებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ დეპუტატები. ისინი ამავე დროს ზრუნავენ, რომ საყოფაცხოვრებო დანიშნულების საწარმოებში სრული წესრიგი იყოს, სანიმუშოდ ეწყობოდეს მშრომელთა მომსახურება. ამისათვის ეწყობა რეიდები, რაც ხელს უწყობს ვაჭრობის კულტურის შემდგომ ამაღლებას.

ვაჭრობის მუდმივი კომისიის აქტიური მონაწილეობით საქტანსაცმლის ატელიე № 4-ში სერიოზული დამახინჯებანი იქნა აღმოჩენილი. ვაჭრობის მუდმივმა კომისიამ ქმედითი მონაწილეობა მიიღო თბილვაჭრობის № 5 მაღაზიაში არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის საქმეშიც.

საჭიროება მოითხოვს, რომ რაიონში იყოს ერთი საჩვენებელი რესტორანი, მით უფრო, რომ წინათ რაიონში ასეთი რესტორანი იყო. მისი შენობა დღეს სხვა ორგანიზაციას უჭირავს. არსებობს სათანადო ზემდგომი ორგანოების დადგენილება აღნიშნული შენობის განთავისუფლების შესახებ, მაგრამ იგი რატომღაც არ ხორციელდება.

ნ. ყიფიანი,
თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე, რაიონული საბჭოს დეპუტატი.

დახმარება მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს

რაიონში მცხოვრები მრავალშვილიანი და მარტოხელა დედები სახელმწიფოსაგან სისტემატურად იღებენ ფულად დახმარებას. გასულ წელს რაისაბჭოს აღმასკომის მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების სახელმწიფო დახმარების განყოფილებამ მათ დასახმარებლად გასცა 847.060 მანეთი, ხოლო მიმდინარე წლის 10 თვეში — 843.140 მანეთი.

★

თბილისის ლენინის რაიონი. წარსულში მიყრუებული, მუშათა განაპირა უბანი — ვიწრო, ბნელი შუკებით, ნახევრადდანგრეული ქოხმახებით. ეს რაიონი მდიდარია რევოლუციური ტრადიციებით. აქ, ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებსა და დეპოში, თბილისელმა რკინიგზელებმა ი. ბ. სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით რევოლუციური ბრძოლის დიდი სკოლა განვლეს. ამ სკოლაში აღზრდილი ადამიანები მაღალი იდეალებისათვის, ბრწყინვალე მომავლისათვის ბრძოლის მოწინავეთა რიგებში იდგნენ. ბევრი მათგანი ამ ბრძოლაში გმირულად დაეცა, მაგრამ მათ სისხლს ამაოდ არ ჩაუღლია.

და დადგა მზიანი აწმყო. საბჭოთა ხელისუფლებამ სიხარული და ბედნიერება მოუტანა მშრომელებს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ რაიონმა სავსებით იცვალა სახე. იგი წალკოტად იქცა. მრავალსართულიანი სახლები, მუშათა საერთო საცხოვრებლები, ახალ საწარმოთა კორპუსები შმოსა და ლაზათს აძლევენ რაიონს. 19 პარკში, ბაღსა და სკვერში, ლარივით გაჭიმული ქუჩების გაზონებში 50 ათასზე მეტი დეკორაციული ხე და ბუჩქი ხარობს. ამ ხეივნებად გადაქცეულ ქუჩებს ეკრიმეული ავსებს რაიონმის მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელიც 16 საშუალო და 2 რვაწლიან სკოლაში მეცადინეობს. გასულ სასწავლო წელს სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანასთან, კიროვის სახელობის ჩარხშენებელ ქარხანასთან, სართავ-საგრიკოტაჟო კომბინატთან გაიხსნა მუშა ახალგაზრდობის საღამოს სკოლები, სადაც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ 600-მდე ახალგაზრდა ეწაფება ცოდნას. რაიონის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება 4 პოლიკლინიკა, 2 ბავშვთა კონსულტაცია, 2 ქალთა კონსულტაცია, 3 ბავშვთა ბაგა, 7 ჯანდაცვისა და სამედიცინო პუნქტი, 1 დისპანსერი, 1 ეპიდემიოლოგიური სადგური მრავალრიცხოვანი სამედიცინო პერსონალით.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურება 248 მაღაზია და საზოგადოებრივი კვების ობიექტი, 69 ატელიე, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის შემკეთებელი სახელოსნო, საპარიკმახერო და სხვ.

ყოველწლიურად იზრდება რაიონის ბიუჯეტი. 1954 წელს 1944 წელთან შედარებით იგი თითქმის სამჯერ გადიდდა.

იზრდება რაიონი, იზრდება მშრომელთა მოთხოვნილებები. ქვემოთ დაბეჭდილი მასალები მოგვითხრობენ, თუ როგორ იბრძვიან რაისაბჭოს აღმასკომი და დეპუტატები კომუნიზმის მშენებელი ადამიანების გაზრდილ საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ამომრჩეველთა მოთხოვნების შესაბამისად

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლა რაისაბჭოს დეპუტატებს, აღმასკომის წევრებს, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკებს თავიანთ ღვიძლ საქმედ მიიჩნიათ. ადგილობრივი საბჭოების უკანასკნელი არჩევნების შემდეგ მათი მუშაობა ამ მხრივ კიდევ უფრო კონკრეტული და ოპერატიული გახდა.

რაისაბჭოს აღმასკომი ფართო აქტივზე დაყრდნობით ბევრ რიგ ღონისძიებებს ახორციელებდა და ახორციელებს რაიონის კეთილმოწყობისათვის. სერიოზული მუშაობა იქნა გაწეული იმისათვის, რომ ტულის, ჩოდრიშვილის, „პრავდის“, ცისარტყელის, ხრესილის, ვოროშილოვის და სხვა ქუჩები ქალაქის საუკეთესო მაგისტრალთა რიცხვში ჩამდგარიყვნენ.

ჩვენი რაიონი, რომელიც 8 კილომეტრზეა გადაჭიმული, განუწყვეტლივ იზრდება. ეს კი მოითხოვს ახლადდასახლებულ ზონებში, განაპირა უბნებში საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების რაც შეიძლება გონივრულად განლაგებას.

ამომრჩეველების მოთხოვნათა შესაბამისად, რაისაბჭოს მუდმივი სავაჭრო კომისიის აქტიური მონაწილეობით 1952 წლიდან დღემდე ასეთ უბნებსა და ზონებში გახსნილია 41 მაღაზია, სასადილო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების საწარმო. მთლიანად კი რაიონში 300-ზე მეტი ასეთი ობიექტია.

მაგრამ დეპუტატები და აღმასკომი ამით როდი კმაყოფილდებიან. უკვე ნიმდინარეობს მუშაობა საავადმყოფოს, აბანოს, კინოთეატრის, სტადიონის ასაშენებლად. ზოგიერთი მათგანი მოკლე ხანში გადაეცემა საეკსპლოატაციოდ. ფართოდ არის გაჩაღებული მუშაობა იმერეთის, მონტინის, რასკოვას, დეპუტატის და სხვა ქუჩების კეთილმოწყობისათვის. რაიონს მიმდინარე და მომავალ წელს შეემატება ახალი მაღაზიები, სასადილოები, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საწარმოები.

რაისაბჭოს აღმასკომი, მუდმივი კომისიები და მათს გარშემო დარაზმული ფართო აქტივი მრავალ ღონისძიებას ახორციელებენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, იმისათვის, რომ რაიონი კიდევ უფრო კეთილმოწყობილი და ლამაზი გახდეს. მაგრამ ამ მუშაობაში ნაკლოვანებებიც გვაქვს.

რაიონში ფართო მასშტაბით მიმდინარეობს საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა შენობების მიმდინარე და კაპიტალური რემონტი. მაგრამ იშვიათი როდია შემთხვევები, როცა რემონტი უხარისხოდ წარმოებს. ეს რაისაბჭოს აღმასკომის მუშაობის სისუსტის შედეგია.

კონტროლის სისუსტით უნდა აიხსნას ისიც, რომ ზოგიერთი კომუნალური სახლი მომარაგებული არ არის საკმაო სათბობით. ჩვენს არადამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობას ადასტურებს აგრეთვე ახალმშენებლობათა ნელი ტემპები.

არსებულ ნაკლოვანებათა დასაძლევად ყველა შესაძლებლობა გვაქვს, საჭირო იქნება მხოლოდ სათანადო ორგანიზაციებმა, რომლებსაც ზოგჯერ დახმარებისთვის მივმართავთ, მეტი ანგარიში გაგიწიონ. ზოგჯერ კი ასე არ ხდება.

ამომრჩეველების მოთხოვნათა შესაბამისად გადაიწყვიტეთ რაიონში დამატებით აფთიაქის გახსნა. მთავარმა სააფთიაქო სამმართველომ კი აფთიაქის გასახსნელად ისეთი პირობები წამოგვიყენა, რომლებიც ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება. ისეთი შემთხვევებიც არის, როდესაც ჩვენს თხოვნაზე ზოგიერთი ზემდგომი ორგანო დიდი დაგვიანებით გვაძლევს პასუხს, რაც გარკვეულ უხერხულობაში გვაყენებს ამომრჩეველთა წინაშე.

ლენინის რაიონი მზარდი სამრეწველო რაიონია. განუწყვეტლივ იზრდება მშრომელთა მოთხოვნილებებიც, რომელთა დაკმაყოფილება დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. დეპუტატები, აღმასკომის წევრები და ამომრჩეველები ძალღონეს არ დაზოგავენ, რომ რაიონი კიდევ უფრო დამშვენდეს, რომ აქ ცხოვრება კიდევ უფრო საამური გახდეს.

ა. ქამუშაძე,
ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, კომუნალური განყოფილების გამგე.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის

რაისაბჭოს დეპუტატები, აქტივისტები ხშირად ვამოწმებთ საწარმო-დაწესებულებებში, ქუჩებსა და ეზოებში სანიტარული წესრიგის მდგომარეობას. ამას წინათ შევამოწმეთ № 62 საბავშვო ბაღის სანიტარული მდგომარეობა. როგორც გამოირკვა, საბავშვო ბაღში ხშირად ირღვევა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ამას ისიც იწვევს, რომ ბაღი შეფერხებით იღებს წყალს. დეპუტატთა უშუალო მონაწილეობით და რაისაბჭოს აღმასკომის ჩარევის შედეგად საბავშვო ბაღისათვის წყლის მიწოდება გაუმჯობესდა, მაგრამ ხელმეორე შემოწმებამ გვიჩვენა, რომ აქ კვლავ გრძელდებოდა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევა. საკითხი აღმასკომის სხდომაზე დავაყენეთ. მიღებულია ზომები მდგომარეობის უახლოეს ხანში გამოსასწორებლად.

ამომრჩეველთა მოთხოვნების გათვალისწინებით ვაწყობთ ლექციებს მედიცინის საკითხებზე. მაგალითად, ამას წინათ ლენინგორის ქუჩაზე მცხოვრებლებისათვის წავიკითხე ლექცია სანიტარულ-ჰიგიენურ საკითხზე. ასეთ ლექციებს კითხულობენ ჩემი კოლეგები — დეპუტატი ექიმები ც. გალუსტაშვილი, ვ. სიხარულიძე, თ. ბედიაშვილი, შ. მიქელაძე.

ა. სეხნიაშვილი,
ექიმი, რაიონული საბჭოს დეპუტატი.

★



თბილისის ლენინის რაიონი. ახალი საცხოვრებელი სახლები (მარცხნივ), ხორცისა და ხორცის პროდუქტების მაღაზია საბჭოს ქუჩაზე.



ფოტო შ. ჩხეტიანისა.

★

ზრუნვა ბავშვთა სწავლა-აღზრდისათვის

ჩვენი ცხოვრების ყვავილების — ბავშვების აღზრდისა და სწავლების გასაუმჯობესებლად რაისაბჭოს სახალხო განათლების მუდმივი კომისია მთელ რიგ ღონისძიებებს ახორციელებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სკოლების მატერიალური ბაზის გაძლიერებას, მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნებას, მათ უზრუნველყოფას სასწავლო ნივთებით, სკოლების მზადებას ზამთრისათვის და სხვ.

დეპუტატები აქტიურად მონაწილეობენ აგრეთვე მოსწავლეთა კლასგარეშე მუშაობის მაღალ დონეზე დაყენების საქმეში. ამას წინათ შემოწმდა რაიონის სასკოლო და მასობრივი ბიბლიოთეკების მუშაობა. ეს საკითხი აღმასკომის მსჯელობის საგანი გახდა, მიღებულ იქნა სათანადო დადგენილება, რომლის განხორციელებამ გაზარდა ბიბლიოთეკების წიგნის ფონდი და მკითხველთა რაოდენობა, გააუმჯობესა აბონენტთა მომსახურება.

საქმეში დეპუტატების ჩარევის შემდეგ ასევე გაუმჯობესდა ტრიკოტაჟ-კომბინატის საბავშვო ბაღის მუშაობა.

დეპუტატები ვ. ყიფიანი, ე. ლეშჩინსკაია, ნ. კალანდაძე, მ. ედილაშვილი, ე. იმნაძე, შ. გოცაძე და სხვები ყოველთვის დროულად ეხმაურებიან ამომრჩეველთა მოთხოვნებს.

განზრახული გვაქვს დეკემბერში აქტივის დახმარებით შევამოწმოთ მოსწავლეთა დისციპლინა, როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეთ და შედეგები რაიონის ფართო საზოგადოებრიობის მსჯელობის საგანი გავხადოთ.

ა. ძურაძე,
პედაგოგი, რაიონული საბჭოს დეპუტატი.

წინადადებები, რომლებიც განხორციელდა

ამომრჩეველებმა დეპუტატებთან შეხვედრისას მიმდინარე წლის სექტემბერში წამოაყენეს წინადადება ლოტკინის, ლაითურის, გომარეთის ქუჩების მიდამოებში ხილ-ბოსტნეულის მაღაზიის გახსნის შესახებ.

რაისაბჭოს აღმასკომმა საკითხი დააყენა სათანადო ორგანიზაციის წინაშე და ლოტკინის შესახვევის № 4-ში გაიხსნა ხილ-ბოსტნეულის მაღაზია.

* * *

ამომრჩეველებმა მოითხოვეს რაიონში მეორე აბანოს აგება.

ამის შესახებ რაისაბჭოს აღმასკომმა მიმართა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს, რომელმაც დადებითად გადაწყვიტა ეს საკითხი. მოკლე ხანში კოლექტივიზაციის ქუჩაზე აბანო ამუშავდება.

* * *

ლოტკინის მთაზე მცხოვრებლები საავტობუსო ხაზით არ იყვნენ დაკავშირებულნი ცენტრთან. ამის შესახებ ამომრჩეველებმა დეპუტატებს მიმართეს.

ამჟამად ლოტკინის მთასა და ცენტრს შუა კომფორტაბელური ავტობუსები მოძრაობენ.

* * *

ამომრჩეველი დეპუტატებისაგან მოითხოვდნენ დახმარებას ლენინისა და სტალინის რაიონების შემაერთებელი ხიდის (ბნელი ხიდის) რეკონსტრუქციის საქმეში.

რაისაბჭოს აღმასკომმა მხედველობაში მიიღო ამომრჩეველთა ეს მოთხოვნა და ხიდი რეკონსტრუირებულ იქნა.

მოწინავე გამოცდილების ტრიბუნა

როგორ გავაღრმავოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობა

ჩვენი კოლმეურნეობის ეკონომიკაში ჩაის და ციტრუსოვან კულტურებთან ერთად სულ უფრო იზრდება მეცხოველეობის ხვედრითი წონა. შარშან მეცხოველეობამ მოგვცა 366 ათას მანეთზე მეტი ფულადი შემოსავალი, რაც მთელი შემოსავლის დაახლოებით 18 პროცენტს შეადგენს. წელს კი განვლილ სამ კვარტალში ამ დარგის შემოსავალმა 370 ათას მანეთს გადააჭარბა.

უ. ვერძაძე.

★

პირუტყვის მოვლა-კვების გადაჭრით გაუმჯობესების, მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისა და ძროხების ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების გზით წელს 1 ოქტომბრისათვის თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 3.026 კილოგრამი რძე. მოწინავე მწველავმა ქალმა, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე გ. ვარშანიძემ, რომელიც ხუთი წელია ფერმაში მუშაობს, შარშან 8 ძროხიდან თვითეულზე 4.029 კილოგრამი რძე მიიღო, ხოლო წელს 1 ოქტომბრისათვის 3.500 კილოგრამი. ძროხა „ვარსკლიამ“ მოიწველა 6.250 კილოგრამი, „ვესიოლაიამ“ — 5.784 კილოგრამი რძე. 8 ძროხაზე წელს შენარჩუნებულია 8 ხბო.

ფერმაში გ. ვარშანიძეს ბევრად როდი ჩამორჩებიან სხვა მწველავებიც. შ. მაკარაძემ თვითეულ საფურაქე ძროხაზე წელს 3.200 კილოგრამი რძე მიიღო. ძროხა „არაგვმა“ მოიწველა 6.175, ხოლო „რადიუსამ“ — 3.471 კილოგრამი რძე.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ბერწიანობის აღმოფხვრას, ნამატის მიღებასა და მთლიანად შენარჩუნებას. ამის შედეგად კოლმეურნეობა ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს მეცხოველეობის სულადობის ზრდის გეგმებს. 1 ოქტომბრისათვის წლიური დავალება შესრულებული იყო 106 პროცენტით. ამ წარმატების მოპოვებაში წვლილი მიუძღვით მომვლელებს შ. ფარტენაძეს და ქ. აბაშიძეს, რომლებმაც 78 სული ნამატი გაზარდეს. საკუთარი ჯოგის მომრავლების საშუალებით მარტო წელს ფერმას 10 სული ძროხა შეემატება.

როგორ მივაღწიეთ ამ წარმატებებს? უწინარეს ყოვლისა საქმისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით, შრომის სწორი ორგანიზაციით და პროგრესულ ღონისძიებათა განხორციელებით.

კარგად გვაქვს შეგნებული, რომ მეცხოველეობის განვითარების ძირითად პირობას მტკიცე საკვები ბაზის შექმნა წარმოადგენს. მუშაობა სწორედ აქედან დავიწყეთ. მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობის ძირითადი მასივები ჩაის და ციტრუსოვანთა პლანტაციებს უკავია, ძალიც შევძელით შემოგვეღო მწვანე კონვეიერი.

კოლმეურნეობას დათესილი აქვს მრავალწლიანი ბალახები — სამყურა და ტიმოთელა 14 ჰექტარზე, საიდანაც წელს საშუალოდ ჰექტარზე 25-30 ტონა მწვანე ბალახი მივიღეთ. ამ ფართობზე მთელ სეზონში თივა სამჯერ ავიღეთ. ნათესში ორჯერ შევიტანეთ მინერალური სასუქი. გარდა ამისა, საკვებად დავთესეთ 8 ჰექტარი ჭვავი და 12 ჰექტარი სოია. პირველი გამოვიყენეთ საძოვრად, ხოლო მეორე — მწვანე საკვებად. ჩვენი პირუტყვი მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფილია მწვანე ბალახით. სასილოსად 5 ჰექტარზე დავთესეთ სიმინდი სოიასთან შერევით, საიდანაც წელს ავიღეთ და დავასილოსეთ 145 ტონა საკვები. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ საკვები ძირხვენების მოყვანას. 6 ჰექტარზე დავთესეთ საკვები გოგრა, ჭარხალი, საკვები საზამთრო და სხვ. აქედან მივიღეთ 90 ტონა საკვები. პირუტყვის გამოსაკვებად აგრეთვე ვიყენებთ ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების ნარჩენებს. წელს დავაგროვეთ 100 ტონა თივა და 40 ტონა ჩალა. ამრიგად, საშუალოდ ერთ ძროხაზე გამოზამთრების პერიოდში მოდის 5 ტონა სილოსი და 1,5 ტონა უხეში საკვები.

გამოცდილება შევიძინეთ აგრეთვე საკვების სწორად გამოყენებაში. შრომატევადი სამუშაოები მექანიზებული გვაქვს. საკვების წინასწარ შესამზადებლად ვახორციელებთ წვნიანი საკვების დაჭრა-დაქუცმაცებას. საკვები ძარცვლეულის და კოპტონის გადასამუშავებლად ვიყენებთ უნივერსალურ წისქვილს, სპეციალურ საჭრელსა და საკვებ-საფხვნელ მანქანებს, ძირნაყოფებისათვის — დასაორთქლებელ აგრეგატს, ხოლო ჩალისათვის — ჩალის საჭრელ მანქანას. პირუტყვისათვის მოწყობილია ავტოსარწყულებლები. მექანიზებულია აგრეთვე საკვების შემოზიდვისა და ნაკელის გაზიდვის სამუშაოები.

ძროხების კვებას ვაწარმოებთ ინდივიდუალური ნორმებისა და საკვები რაციონის დაცვით. 16 ძროხა დაყენებული იყო გაწველაზე. ამან დაგვარწმუნა, რომ ჩვენს პირობებში მაღალი წველადობის მიღწევისათვის საჭიროა თვითეულ ძროხას საშუალოდ დღეღამეში მივცეთ 8 კილოგრამამდე კონცენტრირებული საკვები, 30 კილოგრამამდე წვნიანი საკვები, 50-65 გრამამდე მინერალური საკვები (მარილი 20-25 გრამი, ძვლის ფქვილი, ან ცარცი, ან ჩამქრალი კირი 30-40 გრამი), 8-10 კილოგრამამდე უხეში საკვები.

საკვების შემზადება ხდება წლის დროისა და ტემპერატურის მიხედვით. ზამთრის პერიოდში საკვებს ვამზადებთ თბილი, ხოლო ზაფხულში ცივი წყლით, რაც დიდ გავლენას ახდენს წველადობაზე. დიდი მნიშვნელობა აქვს წველის ჯერადობას და თვით მოწველის ხერხებს. მაღალპროდუქტიულ ძროხებს დღეში 4-6-ჯერ ვწველით.

ძროხის წველის დროზე შეწყვეტა, კარგი კვება იმის საწინდარია, რომ ხბოს მოგების შემდეგ ძროხამ ბევრი მოიწველოს. ამიტომ შეუწყნარებელია ძროხა ვწველოთ თითქმის ხბოს მოგებამდე. ჩვენი დაკვირვებით მიზანშეწონილია წველა შევწყვიტოთ 55-65 დღით ადრე ხბოს მოგებამდე. ამასთან ამ პერიოდში უნდა შეიცვალოს კვების რაციონიც. სახელდობრ, გაშრობამდე ორი კვირით ადრე რაციონში თანდათანობით შემცირებულ უნდა იქნას კონცენტრირებული, წვნიანი საკვები, მის თითქმის გამოთიშვამდეც კი. ამასთანავე უნდა შემცირდეს დღეღამეში წველის რიცხვი, 4-ჯერადი წველა დაყვანილ იქნას 3-ჯერადზე, შემდეგ 2-ჯერადზე, ბოლოს ერთზე და შემდეგ მთლიანად შევწყვიტოთ. ყურადღება უნდა მიექცეს ცურის მდგომარეობას, რათა წველის შემცირებას არ მოჰყვეს სარძევე ჯირკვლების ანთება.

დიდი მნიშვნელობა აქვს ძროხების დღის რეჟიმის დაცვასაც. კერძოდ, მეწველი ძროხები დღეში ორჯერ (კარგ ამინდში) გაგვყავს სუფთა ჰაერზე 1,5-2 საათით.

ჩვენს პირუტყვს თბილი, კაპიტალური სადგომები აქვს. დათბუნების საშუალებით ვაღწევთ იმას, რომ ფერმაში ზამთარ-ზაფხულ დაახლოებით ერთნაირი — ნორმალური ტემპერატურა იყოს. ფერმა ელექტროფიცირებულია.

ფერმის ყველა მუშაკმა გულდასმით დაათვალიერა სახალხო გამოცდილების შესანიშნავი სკოლა — სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, დაწვრილებით გაეცნო მოსკოვის ოლქის ლუხოვიცის რაიონის სტალინის სახელობის, ჩერკასის ოლქის ზოლოტონოშის რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის“, კოსტრომის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „კარავაევოს“ და მეცხოველეობის სხვა ფერმების და მეცხოველეობის მუშაკების მდიდარ გამოცდილებას.

გამოფენიდან დაბრუნებისას შევიმუშავეთ სპეციალური ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებით უზრუნველყოფთ ჩვენს ფერმაში მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომ გადიდებას. გათვალისწინებული გვაქვს მომავალ წელს თვითეული საფურაქე ძროხის წველადობა ავიყვანოთ 3.500-4.000 კილოგრამამდე.

ფერმის მუშაკები თავდადებით იბრძვიან ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ შესრულებისათვის.

უ. ვერძაძე,
ბათუმის რაიონის სოფელ ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ბრიგადირი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ზამთარს არ ელოდებიან“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 21 ოქტომბრის ნომერში მხილებული იყო თელავის რაიონის სოფელ ფშავლის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში არსებული ნაკლოვანებანი.

წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის მდივანს ამხ. ა. უთიაშვილს.

როგორც ამხ. ა. უთიაშვილი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. რაიკომის ბიურომ განიხილა ფშავლის კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობის საკითხი.

რაიკომის ბიუროს გადაწყვეტილებით სოფელ ფშავლის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ლ. ზათიაშვილი ჩამოყენებულია სკკპ წევრობის კანდიდატად. ბიურომ რჩევა მისცა კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებას ლ. ზათიაშვილი მოხსნას კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეობიდან.

ანდრია იანუარის-ძე ვიშინსკი

1954 წლის 22 ნოემბერს გულის მწვავე შეტევის შედეგად ქალაქ ნიუიორკში უეცრად გარდაიცვალა გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აკადემიკოსი ანდრია იანუარის-ძე ვიშინსკი.

ა. ი. ვიშინსკი დაიბადა 1883 წელს ოდესაში. ახალგაზრდობიდანვე იგი მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ მოძრაობაში, არაერთხელ განუცდია დევნა, გადასახლება და დაპატიმრება მეფის საიდუმლო პოლიციის ხელით. 1920 წლიდან ა. ი. ვიშინსკი კომუნისტური პარტიის წევრია.

1913 წელს კიევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ა. ი. ვიშინსკი ეწეოდა ლიტერატურულ და სამასწავლებლო მოღვაწეობას.

1917-დან 1925 წლამდე ა. ი. ვიშინსკი მუშაობდა სასურსათო სახალხო კომისარიატში, ხოლო უფრო გვიან რუსეთის სფსრ უმაღლეს სასამართლოში პასუხსაგებ პოსტებზე, ამავე დროს იყო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი სისხლის სამართლის პროცესის კათედრაზე.

1925-დან 1931 წლამდე ა. ი. ვიშინსკი ხელმძღვანელ სამუშაოზე იყო განათლების ორგანოებში — იყო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, რუსეთის სფსრ განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი, რუსეთის სფსრ განათლების სახალხო კომისარიატის სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

მთელი რიგი წლების (1931-1939 წლების) განმავლობაში ა. ი. ვიშინსკი იყო ხელმძღვანელ სამუშაოზე საბჭოთა პროკურატურისა და იუსტიციის ორგანოებში, იყო რუსეთის სფსრ პროკურორი, რუსეთის სფსრ იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილე, ხოლო შემდეგ სსრ კავშირის პროკურორი.

1939-დან 1944 წლამდე ა. ი. ვიშინსკი იყო სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე. ამავე წლებში მან დაიწყო თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობა საბჭოთა დიპლომატიის ხელმძღვანელ პოსტებზე. იგი იყო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი, ხოლო შემდეგ სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და ამავე დროს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე.

ა. ი. ვიშინსკი ბევრი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო თათბირისა და კონფერენციის მონაწილე იყო როგორც ომის წლებში, ისე ომისშემდგომ დროსაც. იგი არაერთხელ მეთაურობდა სსრ კავშირის დელეგაციებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიებზე. მისი შესანიშნავი გამოსვლები ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად, იმპერიალისტური აგრესიისა და ახალი ომის მომზადების წინააღმდეგ ცნობილია ყველა ქვეყნის ხალხებისათვის. აგრეთვე ცნობილია მისი დამსახურება სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და მთელი დემოკრატიული ბანაკის ინტერესების დაცვის საქმეში.

იყო რა საბჭოთა სახელმწიფოს პასუხსაგებ ხელმძღვანელ პოსტებზე, ა. ი. ვიშინსკი ამავე დროს ეწეოდა დიდ მეცნიერულ მუშაობას, რომელიც მას არ შეუწყვეტია თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე. იგი იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი.

საკავშირო კპ(ბ) XVIII და XIX ყრილობებზე ა. ი. ვიშინსკი არჩეულ იქნა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად.

თავისი სახელმწიფოებრივი და დიპლომატიური მოღვაწეობის მანძილზე ა. ი. ვიშინსკი მთელ თავის ძალღონეს, დიდ ცოდნასა და ნიჭს ახმარდა საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცების საქმეს, დაუცხრომლად იცავდა საბჭოთა კავშირის ინტერესებს საერთაშორისო ასპარეზზე, ბოლშევიკური მგზნებარებით იბრძოდა კომუნიზმის საქმისათვის, საერთაშორისო მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების განმტკიცებისათვის.

ა. ი. ვიშინსკის თვალსაჩინო დამსახურება სსრ საბჭოთა სახელმწიფოსა და კომუნისტური პარტიის წინაშე მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა მთავრობამ. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ექვსი ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

გარდაიცვალა საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უაღრესად თვალსაჩინო მოღვაწე, ნიჭიერი საბჭოთა დიპლომატი და დიდი მეცნიერი. ა. ი. ვიშინსკი იყო კომუნისტური პარტიის ერთგული შვილი, მუშაობაში თავდადებული, განსაკუთრებით თავმდაბალი და საკუთარი თავისადმი მომთხოვნელი.

საბჭოთა კავშირის და დემოკრატიისა და სოციალიზმის მთელი ბანაკის ინტერესებისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის აქტიური, დაუცხრომელი მებრძოლის ა. ი. ვიშინსკის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება საბჭოთა ადამიანების გულში.

ინგლისის პრესა „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე ვ. მ. მოლოტოვის პასუხის შესახებ

ლონდონი, 22 ნოემბერი. (საკადესი). გაზეთები „ტაიმსი“ და „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ სარედაქციო სტატიებში კომენტარს უკეთებენ ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის პასუხს „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე. „ტაიმსმა“ დაბეჭდა პასუხის სრული ტექსტი, რომელიც რეიტერის სააგენტომ გადასცა. ორივე გაზეთი მხარს უჭერს იმას, რომ დაჩქარებით დაამტკიცონ პარიზის შეთანხმებანი დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღების შესახებ.

„დეილი ექსპრესისა“ და „ფაინენშლ ტაიმსის“ მიმომხილველნი ამტკიცებენ, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრო „უარყოფს“ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის საკითხის განხილვის გადადებას.

„ტაიმსი“ თავის კომენტარში იმეორებს ბურჟუაზიული პროპაგანდის ჩვეულ მტკიცებას, ცდილობს რა საბჭოთა მთავრობას დააკისროს ბრალი იმისათვის, რომ გერმანიის საკითხში მიღწეული არ არის შეთანხმება.

ინგლისის წამყვანი პროვინციული გაზეთები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ვ. მ. მოლოტოვის წინადადებას — გადაიდოს სრულიად ევროპის უშიშროების საკითხებზე დასახული თათბირი, თუ დასავლეთის სახელმწიფოები გადადებენ პარიზის ხელშეკრულებათა რატიფიკაციის საკითხის განხილვას. გაზეთები ხაზს უსვამენ ვ. მ. მოლოტოვის განცხადებას იმის შესახებ, რომ, თუ დასავლეთის ქვეყნებმა განახორციელეს გერმანიის რემილიტარიზაციის გეგმები, ევროპის მშვიდობისმოყვარე ქვეყნებმა უნდა იფიქრონ ახალ ღონისძიებებზე თავიანთი უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

„მანჩესტერ გარდიანმა“ და „სკოტსმენმა“ დაბეჭდეს ვ. მ. მოლოტოვის პასუხის სრული ტექსტი.

ბურჟუაზიული პროვინციული გაზეთები მტრულ კომენტარს უკეთებენ საბჭოთა წინადადებებს, რომლებიც შეეხება გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების უზრუნველყოფას.

სერიოზული გაფრთხილება

სტოკჰოლმი, 21 ნოემბერი. (საკადესი). სტოკჰოლმის დილის გაზეთები თვალსაჩინო ადგილს აქცევენ ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის პასუხს „პრავდის“ კორესპონდენტის შეკითხვებზე. „დაგენს ნიუჰეტერი“ სათაურში წერს „მოსკოვი კვლავ მოითხოვს თათბირის მოწვევას“. „მორგონ-ტიდინნგენის“ სათაურში აღნიშნულია, რომ მოლოტოვმა გააკეთა „მკაცრი გაფრთხილება და განაცხადა, რომ პარიზის შეთანხმებანი წარმოადგენენ საფრთხეს მშვიდობისათვის“.

ვ. მ. მოლოტოვის პასუხის გადმოცემაში გაზეთები უწინარეს ყოვლისა ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა მთავრობა თანახმაა ევროპის უშიშროების საკითხზე თათბირი გადაიდოს, თუ დასავლეთის ქვეყნები დათანხმდებიან გადადონ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის საკითხის განხილვა.

„ევროპაში ომის საფრთხე გაიზრდება, თუ დაამტკიცეს პარიზის შეთანხმებანი“

ოსლო, 22 ნოემბერი. (საკადესი). დღეს გაზეთებმა მოთავსეს „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე ვ. მ. მოლოტოვის პასუხის შინაარსი შემდეგი სათაურებით: „ევროპაში ომის საფრთხე გაიზრდება, თუ დაამტკიცეს პარიზის შეთანხმებანი, — ამბობს მოლოტოვი. შეიძლება გადაიდოს თათბირი ევროპის უშიშროების პრობლემებზე, თუ გადადებენ დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღების შესახებ შეთანხმებათა რატიფიკაციას“ („ფრიჰეტენი“). „მოლოტოვი კვლავ ცდილობს არ დაუშვას პარიზის შეთანხმებათა განხორციელება“ („აფტენპოსტენი“).

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია

აიკრძალოს მასობრივი მოსპობის იარაღი

ალექსანდრე კორნეიჩუკის სიტყვა

20 ნოემბერს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიის სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა მწერალმა ალექსანდრე კორნეიჩუკმა. მან აღნიშნა, რომ სტოკჰოლმი იყო ქალაქი, საიდანაც გაისმა პირველი მოწოდება, რომ კაცობრიობამ იბრძოლოს ატომური ბომბის ბოროტი ძალების წინააღმდეგ. ამ ქალაქიდან მსოფლიოში გაისმა მოწოდება, რომელიც მოითხოვს მასობრივი მოსპობის იარაღის გამოყენების აკრძალვას. კაცობრიობის მესამედმა ხელი მოაწერა ამ მოწოდებას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, თქვა კორნეიჩუკმა, რომ ასეულ მილიონობით ადამიანთა ნების ამ გამოხატვის მეოხებით კორეაში არ გამეორდა ხიროსიმის საშინელებანი.

მაგრამ საფრთხე არ გამქრალა, არ დამცხრალა. იგი ყოველთვის თვალწინ გვიდგას. ამ საფრთხეს განუწყვეტლივ მოგვაგონებენ. ამა წლის 25 ოქტომბერს ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა გენერალმა გრიუნტერმა აშკარად განაცხადა, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა მიზნად დაისახეს მომავალ ომში გამოიყენონ ატომური იარაღი. უფრო ადრე, 8 ოქტომბერს, ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მოადგილემ მორტიმერმ თურქ ჟურნალისტებს უთხრა, რომ ატლანტიკის კავშირი გამოიყენებს ატომურ იარაღს. მე ვიმოწმებ მხოლოდ ამას, რაც თქვეს ყველაზე კომპეტენტურმა ადამიანებმა, იმ ადამიანებმა, ვისაც შესაძლებლობა აქვს შეასრულოს მუქარა, იმ ადამიანებმა, რომლებიც სათავეში უდგანან ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის სამხედრო ძალებს. დაუსრულებლად შეგვეძლო მოგვეყვანა აქ ოკეანეგადაღმელი პოლიტიკოსების, სამხედრო მოღვაწეების, ჟურნალისტებისა და მათი ევროპელი მეგობრების ნათქვამი ომის გაჩაღებელთა ბანაკიდან.

შემდეგ კორნეიჩუკმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი მუდამ, თანმიმდევრულად და განუწყვეტლივ ახორციელებს სამშვიდობო პოლიტიკას და მუდამ, თანმიმდევრულად და მტკიცედ, მიუხედავად ვითარებისა, იბრძვის ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის, საერთოდ შეიარაღების შეზღუდვისათვის.

მთელმა მსოფლიომ იცის, თქვა მან, რომ 2ერ კიდევ 1945 წლის დეკემბერში საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირმა საბჭოთა მხარის ინიციატივით მიიღო გადაწყვეტილება რჩევა მიეცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეისათვის— შეექმნა სპეციალური კომისია იმ პრობლემების განსახილველად, რომლებიც წარმოშვა ატომის ენერგიის აღმოჩენასთან დაკავშირებით.

1946 წლიდან 1954 წლამდე მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვის საკითხს საბჭოთა წარმომადგენლები აყენებდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ყველა სესიაზე და ატომის ენერგიის კომისიებში...

ჩვენი ქვეყნის თვალსაზრისი მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვის საკითხზე არ შეცვლილა არც მას შემდეგ, რაც ჩვენ დავეუფლეთ ატომური, ხოლო შემდეგ წყალბადის ბომბის საიდუმლოებას.

შემდეგ კორნეიჩუკი შეეხო საბჭოთა კავშირის ბრძოლას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში ომისათვის, რომ აიკრძალოს მასობრივი მოსპობის იარაღი, და, კერძოდ, საბჭოთა კავშირის უკანასკნელ წინადადებებს ამ საკითხზე.

შემდეგ სსბჭოთა დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის მუქარას ომის შემთხვევაში ატომური იარაღის გამოყენების შესახებ დაემატა კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება: პარიზის ხელშეკრულებების თანახმად, დასავლეთ გერმანიის არმიას უფლება ეძლევა შეიარაღდეს ატომური იარაღით... მე-20 საუკუნის მწარე გამოცდილებამ ცხადყო, რომ მშვიდობისათვის და ევროპის მშვიდობიანი ცხოვრებისათვის ყველაზე დიდი, ყველაზე არსებითი და ყველაზე რეალური საფრთხეა გერმანიის მილიტარიზმი.

იგი ორჯერ დაიძრა ევროპის წინააღმდეგ, ორჯერ დამარცხდა მილიონობით ადამიანის სიცოცხლის ფასად, ახლა კი კვლავ ცოცხლდება და კვლავ გვეუბნება წინ. ჩვენ ჯეროვნად უნდა შეეფასოთ ეს საფრთხე, მით უმეტეს, რომ ამჯერად სურთ შეიარაღონ იგი მასობრივი მოსპობის იარაღით — ატომური იარაღით.

ეი ამიტომ დღეს, განაგრძო კორნეიჩუკმა, მსოფლიოს ხალხებმა უნდა გაასამკეცონ თავიანთი ენერგია თერმოგულის იარაღის აკრძალვისათვის, ყველა სახეობის იარაღის შემცირებისათვის ბრძოლაში.

ჩვენ ამ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში განსაკუთრებით უკანასკნელ დროს სულ უფრო ხმამაღლა გაისმის საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლთა მოთხოვნა შეწყდეს გამალებული შეიარაღება და აიკრძალოს თერმოგულის იარაღი. ჩვენ სულით და გულით ვუსურვებთ დიდ ამერიკელ ხალხს წარმატებას ხალხთა მშვიდობისა და კეთილი ნებისათვის ბრძოლის ამ კეთილშობილურ საქმეში.

მსოფლიოს ხალხები მოითხოვენ, რომ მეცნიერების უდიდესი მიღწევა — ატომგულის გახლეჩა — არასოდეს არ იქნას გამოყენებული როგორც გამანადგურებელი ძალა, არამედ მოხმარდეს მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის კეთილდღეობას. საბჭოთა კავშირში მსოფლიოში პირველად ატომის ენერგია ჩაყენებულია ხალხის სამსახურში. მთავრობის 1954 წლის 1 ივლისის განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ სსრ კავშირში წარმატებით დამთავრდა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობისათვის ატომის ენერგიის პირველი სამრეწველო ელექტროსადგურის დაპროექტებისა და მშენებლობის სამუშაობები. საბჭოთა მეცნიერები და ინჟინრები წარმატებით ეწევიან მუშაობას 50-100 ათასი კილოვატი სიმძლავრის ატომის ენერგიის სამრეწველო ელექტროსადგურების შესაქმნელად.

დღეს საბჭოთა კავშირში სულ უფრო მეტად იყენებენ ატომის ენერგიას სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში, მედიცინასა და მეურნეობის სხვა სფეროებში.

საბჭოთა მთავრობის საქმიანობას, რომლის მიზანია მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვის შესახებ შეთანხმების მიღწევა, მხურვალედ უჭერენ მხარს ჩვენი ქვეყნის ხალხები. სტოკჰოლმის მოწოდებას, რომელიც მოითხოვს ატომური იარაღის აკრძალვას, სსრ კავშირში ხელი მოაწერა 115 მილიონზე მეტმა კაცმა — საბჭოთა კავშირის მთელმა მოზრდილმა მოსახლეობამ. ჩვენი პერიოდული პრესა, მხატვრული, მეცნიერული და ტექნიკური ლიტერატურა ფართოდ ამუქებენ მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვისათვის, მშვიდობიანი მიზნებით ატომის ენერგიის გამოყენებისათვის ბრძოლის საკითხებს.

საბჭოთა ხალხის ღონისძიებანი მიმართულია იმისაკენ, რომ რაც შეიძლება მალე ფართოდ დაინერგოს ატომის ენერგია მშვიდობიანი ცხოვრების ყველა დარგში, და ჩვენთვის გაუგებარია, თუ რატომ ეწევიან დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში გაძლიერებულ კამპანიას, რათა „დაუსაბუთებელ ენთუზიაზმად“ და „საშიშ ოპტიმიზმად“ მიიჩნიონ მშვიდობიანი მიზნებისათვის ატომის ენერგიის სწრაფი გამოყენების შესაძლებლობა. ჩვენთვის გაუგებარია, თუ რატომ დაეუფლა ამ ქვეყნების პოლიტიკოსებს შავბნელი პესიმიზმი სადი აზრის საწინააღმდეგოდ, მეცნიერების უდიდეს მიღწევათა საწინააღმდეგოდ, რატომ ასეთი გულმოდგინებით ამტკიცებენ ისინი, რომ ეკონომიურად ხელსაყრელი ატომური ელექტროსადგურები გაჩნდება არა უადრეს 1975 წლისა. მხარს ეუჭერთ რა საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპს ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში, ამასთან ერთად არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ამ საკითხის გადაჭრა სრულიად არა ხსნის დღის წესრიგიდან უმნიშვნელოვანეს პრობლემას, რომელიც ხალხებს აღელვებს, ამ მძლავრი ენერგიის საომრად გამოყენების აკრძალვის პრობლემას. მხოლოდ ატომური იარაღის უშენიშვნო აკრძალვა შექმნის ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების ნამდვილ პირობებს, ადამიანის სამსახურში ჩააყენებს ტენების უდიდეს ძალას, შექმნის ბედნიერის სწრაფი დაგროვების, ყველა ხალხის ცხოვრების დონის მკვეთრი აღმავლობის უმაგალითო პერსპექტივებს.

კორნეიჩუკი შეეხო საბჭოთა წინადადებას ევროპის უშიშროების საკითხზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის შესახებ.

საბჭოთა კავშირმა, თქვა მან, თავისი წინადადებანი ევროპის კოლექტიური უშიშროების საკითხის შესახებ შეიტანა ბერლინის თათბირზე და მიმართა სხვა სახელმწიფოებს, რომ მათ შემოიტანონ თავიანთი წინადადებანი ამ საკითხზე. სასაცილო მდგომარეობაში იყენებენ თავს პარიზისა და ლონდონის შეთანხმებათა სულისჩამდგმელები, რომლებიც დღეს თავს ისე გვაჩვენებენ, რომ საბჭოთა კავშირის წინადადებანი ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ პირველად შეიტყეს საბჭოთა ნოტიდან. მაგრამ ჩვენ გვესმის, რომ მათ მართლაც არა ჰქონდათ საბჭოთა წინადადებების შესწავლის დრო, რადგან ისინი უკანასკნელ თვეებში უფრო მეტად ცხოვრობდნენ თვითმფრინავებში, ძალას არ ზოგავდნენ, დღედაღამ ზრუნობდნენ ომაზე, რომ გაეთიშათ ევროპა, შეეიარაღებინათ დასავლეთი გერმანია და ყოველივეს აკეთებდნენ იმისათვის, რომ არ დაეშვათ კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა.

ამა წლის 9 ნოემბერს ორმა ქალაქმა — სტალინგრადმა და კოვენტრიმ — ერთობლივად მოაწერა ხელი მიმართვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი ატომური იარაღის აკრძალვისა და სახელმწიფოთა შეიარაღებიდან მისი ამოღების შესახებ, ორმა ქალაქმა, რომლებმაც უშუალოდ განიცადეს ომის საშინელებანი, რომლებმაც ბოლომდე შესვეს მწარე ფიალა და ღრმად შეიგნეს, თუ რას ნიშნავს მთელი უბნების დამანგრეველი, ზღმბების განუწყვეტელი გრიალი, როცა იღუპება და ქრება ის, რაც მრავალი წლის მანძილზე შეექმნიათ, აუშენებიათ და აღუმართავთ მთელ თაობებს.

სტალინგრადიდან კოვენტრიმდე დიდი მანძილია. სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ ქალაქ კოვენტრის ლორდ-მერი და სტალინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე. სხვადასხვა კოვენტრის მცხოვრებთა და სტალინგრადის მკვიდრთა ცხოვრება. მაგრამ, როცა საქმე ეხება ქალაქების გადარჩენას, ასეულ ათასობით ცოცხალი არსების გადარჩენას, მათ გამონახეს საერთო ენა, ერთნაირი გრძნობები და ერთნაირი სიტყვები მშვიდობისადმი მისწრაფების დასადასტურებლად, მშვიდობისათვის ბრძოლაში ურყევი მამაცობის დასადასტურებლად.

განა იმისათვის, რომ გამოხატოს მილიონობით ადამიანის გულში არსებული ეს ცოცხალი მისწრაფება მშვიდობისადმი, ვერ გამონახავს საერთო სიტყვებს, რათა მათ ხორცი შეასხას, ვერ გამონახავს საერთო გზას ევროპის ყველა ქალაქი, მსოფლიოს ყველა ქალაქი და სოფელი, სადაც ცხოვრობს ადამიანი, რომელსაც უყვარს მშვიდობა, რომელიც მოითხოვს ზღვიდობას, იბრძვის მშვიდობისათვის?

განა კაცობრიობა ვერ იპოვნის საკმაოდ ძლიერ სიტყვებს და საკმაოდ ძლავრ მოქმედებას, რათა თავიდან აიშოროს ომი?

არა, კაცობრიობა იტყვის თავის სიტყვას, დადგება, როგორც ურღვევი კაშხალი, რომელიც დაამსხვრევს ომის გამჩაღებელთა და მასობრივი სიკვდილის თაყვანისმცემელთა, მოსპობის მქადაგებელთა ყველა გეგმას.

დასასრულ კორნეიჩუკმა თქვა:

საბჭოთა კავშირის მშვიდობის მომხრეთა სახელით მხურვალედ ვუჭერ მხარს 1955 წლის პირველ ნახევარში ხალხთა მშვიდობის კონგრესის მოწვევას, სადაც ერთხელ კიდევ მთელი ძალით გამოიხატება მთელი კაცობრიობის მისწრაფება ყველა ხალხისა და სახელმწიფოს მშვიდობისადმი, თანამშრომლობისა და მეგობრობისადმი.

ამ კონგრესზე ჩვენ სიხარულით, სულით და გულით მივესალმებით ყველა წარმომადგენელს, რომლებიც არ შედიან ჩვენს მოძრაობაში, მაგრამ ჩვენთან ერთად იბრძვიან ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის.

ნება მიბოძეთ დაგარწმუნოთ, რომ დიდ საბჭოთა ხალხს თავის უმთავრეს ამოცანად მიიჩნევდა და მიაჩნია მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვა და იგი ძალებს არ დაიშურებს ამ წმიდა საქმეში.

ინდონეზიის პრემიერ-მინისტრის გამოსვლა

ჯაკარტა, 23 ნოემბერი. (საკადესი). ინდონეზიის პრემიერ-მინისტრმა სასტროამიჯოიომ, რომელმაც გუშინ რადიოთი სიტყვა წარმოთქვა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასავლეთ ირიანის (ახალი გვინეის დასავლეთი ნაწილი) ინდონეზიასთან შეერთება მთელი ინდონეზიელი ხალხის მოთხოვნაა. შეერთება სურთ როგორც მმართველ, ისე ოპოზიციურ პარტიებს.

პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდონეზია კვლავაც განახორციელებს დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას.

დასასრულ სასტროამიჯოიომ აღნიშნა, რომ ინდონეზიის მთავრობის პოლიტიკას, რომლის მიზანია ხალხთა მეგობრობისა და მშვიდობის განმტკიცება, ინდონეზიელი ხალხი მოლიანად უჭერს მხარს. მან მოუწოდა ხალხს მხარი დაუჭიროს მთავრობას საყოველთაო არჩევნებში, რამაც „ინდონეზიაში უნდა გამოიწვიოს მშვიდობა და სიწყნარე“.

გამოჩენილი მოაზროვნე და რევოლუციონერი-დემოკრატი

მიქაელ ნალბანდიანის დაბადების 125 წლისთავის გამო

არა მარტო სომხეთში, არამედ მთელ ჩვენს მრავალეროვან სამშობლოში დიდ პატივს სცემენ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი უდიდესი საზოგადო მოღვაწის, სომეხი ხალხის განთავისუფლებისათვის დაუღალავი მებრძოლის მიქაელ ნალბანდიანის ხსოვნას.

სომეხი ხალხის ერთგული შვილი, გამოჩენილი ფილოსოფოსი და მგზნებარე პუბლიცისტი მიქაელ ლაზარეს-ძე ნალბანდიანი დაიბადა 1829 წელს ქ. ნახჭევანში, ხელოსნის ოჯახში.

მ. ნალბანდიანი მეგობრების დახმარებით მიემგზავრება ქალაქ მოსკოვს და ეწყობა ლაზარევის აღმოსავლურ ინსტიტუტში მასწავლებლად. მაგრამ მისი ლექციები, რელიგიისა და სქოლასტიკის საწინააღმდეგო გამოსვლებით აღშფოთებული სომხეთის სამღვდელოება და ჩდიდრები ახერხებენ მ. ნალბანდიანის სამსახურიდან მოხსნას და დაპატიმრებას.

ერთგული მეგობრების დახმარებით საპატიმროდან განთავისუფლებული მ. ნალბანდიანი 1854 წელს შედის მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. ამ პერიოდიდან მ. ნალბანდიანი მთლიანად ეზმება რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობაში და იწყებს პუბლიცისტურ მოღვაწეობას ჟურნალში „ჰიუსისაფაილ“ („ჩრდილოეთის ციალი“). ამ ჟურნალმა უდიდესი სამსახური გაუწია სომეხ ხალხს სომხური სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში.

მ. ნალბანდიანი პარალელურად შეუპოვრად მუშაობს თვითგანვითარებაზე, სწავლობს ლიტერატურას, ისტორიას, ფილოსოფიას და აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ავადმყოფობის გამო იგი მიემგზავრება საზღვარგარეთ, ახლოს ეცნობა იტალიის ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას. საზღვარგარეთ ყოფნის დროს წერს თავის ცნობილ ლექსს „თავისუფლების სიმღერას“, რომელსაც უგზავნის ჟურნალ „ჰიუსისაფაილს“. საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ მ. ნალბანდიანი მიდის პეტერბურგში და დიდი წარმატებით აბარებს გამოცდებს უნივერსიტეტში. რამდენიმე ხნის შემდეგ მას აღმოსავლური ფაკულტეტის სომხურ-ქართულ განყოფილებაში მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხს ანიჭებენ.

1860 წელს ნალბანდიანი ჩამოდის თბილისში. აქ იგი კარგა ხანს რჩება და უახლოვდება თბილისის მოწინავე ინტელიგენციას. მ. ნალბანდიანი ხელახლა მიემგზავრება საზღვარგარეთ, სადაც იგი უკავშირდება რევოლუციურად განწყობილ პირებს. ევროპაში ხანგრძლივი მოგზაურობის დროს დიდხანს რჩება პარიზსა და ლონდონში. ამ ხანებში მ. ნალბანდიანი ეცნობა და სწავლობს ჰეგელისა და ფეიერბახის ფილოსოფიურ მოძღვრებებს. მ. ნალბანდიანი ახლოს ეცნობა გერცენს, ოგარიოვს, ბაკუნინს, ტურგენევს. ამის შემდეგ მისი რევოლუციური სულისკვეთება კიდევ უფრო მტკიცე ხდება.

მიქაელ ნალბანდიანი აღიზარდა რუსული მოწინავე კულტურის ტრადიციებზე და რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებს ავრცელებდა სომეხ ხალხში.

მ. ნალბანდიანი, როგორც დობროლიუბოვისა და ჩერნიშევსკის თანამებრძოლი, მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის იბრძოდა. იგი პირველი იყო სომეხ ინტელიგენტთა შორის, რომელმაც დაიწყო მატერიალისტური მეცნიერების ქადაგება და შეუპოვარი ბრძოლა გამოუცხადა სამღვდელოებას. თავის სტატიებში მ. ნალბანდიანი მკაცრად აკრიტიკებდა სომხურ კლერიკალიზმს, თავდადებით იცავდა ახალ საერო სინჯურ ლიტერატურულ ენას.

მოსკოვსა და პეტერბურგში ყოფნის დროს მ. ნალბანდიანი გატაცებით კითხულობს პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის „სოვრემენიკს“ და გერცენის „კოლოკოლს“, ოცნებობს მსგავსი სომხური ჟურნალების დაარსებაზე.

ნ. ნალბანდიანი ხალხს მოუწოდებდა იარაღით ებრძოლა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მ. ნალბანდიანი სომეხი ხალხის ბედიღმალს მჭიდროდ და განუყრელად უკავშირებდა დიდი რუსი ხალხის განთავისუფლების საქმეს.

საზღვარგარეთ ყოფნის დროს ნალბანდიანი წერს თავის შესანიშნავ შრომას „მიწათმოქმედება, როგორც ერთადერთი სწორი გზა“. ამ შრომაში იგი გვევლინება უკვე მომწიფებულ რევოლუციონერად. მ. ნალბანდიანი სამარცხვინო ბომბზე აკრავდა როგორც სომეხ ბურჟუაზიას, ისე საზღვარგარეთის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს, მოურიდებლად ამხილებდა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მგლურ ბუნებას.

მ. ნალბანდიანი თავისი ბასრი კალმით მედგარ ბრძოლას აწარმოებდა სომეხი ხალხის ცრუ დამცველთა წინააღმდეგ, რომელნიც სიტყვით ერის ბედნიერებას ქადაგებდნენ, საქმით კი ერის კულტურას, მის წინსვლას და ბედნიერებას ძირს უთხრიდნენ. მ. ნალბანდიანი თავის სტატიაში „ორი სტრიქონი“ ასეთ ვაი-დამცველებსა და „მოღვაწეებს“ სასტიკად ამათრახებდა.

თავის შესანიშნავ ლექსებში, სტატიებსა და წერილებში მ. ნალბანდიანი ღუდამ მიუთითებდა ხალხთა მეგობრობაზე.

1862 წლის გაზაფხულზე ნალბანდიანი ჩადის თავის სამშობლო ქალაქ ნახჭევანში, მაგრამ იმავე წელს მეფის მთავრობა მას აპატიმრებს. აქედან ნალბანდიანს გზავნიან პეტერბურგში და ათავსებენ პეტრე-პავლეს საპყრობილეში. მიუხედავად ნკაცრი მეთვალყურეობისა და რეჟიმისა ნალბანდიანი მაინც არ ისვენებს და მუშაობას განაგრძობს. იგი საპყრობილის ადმინისტრაციას სთხოვს ნება დართონ ციხეში განაგრძოს ლიტერატურული მუშაობა. მეორე განყოფილების უფროსს დოლგორუკოვს ნალბანდიანის განცხადებაზე ასეთი რეზოლუცია წაუწერია: „ისე მოექეცით, როგორც ექცევიან ჩერნიშევსკის“. ნალბანდიანი საპყრობილეში წერს პუბლიცისტურ და კრიტიკულ წერილებს. იქ დაწერილ შრომებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია „ჰეგელი და მისი დრო“. ამ ფილოსოფიურ ნაშრომში ნალბანდიანი აკრიტიკებს ჰეგელის იდეალიზმს და მატერიალიზმის დამცველად გამოდის.

მ. ნალბანდიანს ღრმად სწამდა ხალხის ნათელი მომავალი. პეტრე-პავლეს საპყრობილედან 1863 წლის 8 აპრილს თავ

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XII ყრილობა

ულან-ბატორი, 23 ნოემბერი. (საკდესი). დღეს მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XII ყრილობაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. შირენდიბის მოხსენების გამო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების შესახებ. კამათში გამოვიდა 29 კაცი.

საღამოს სხდომაზე მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დ. დამბამ მოხსენება გააკეთა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის წესდებაში შესატან ცვლილებათა და დამატებათა შესახებ. ვიდი წლის მანძილზე, რაც XI ყრილობის შემდეგ გავიდა, თქვა მან, პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში დიდი ცვლილებები მოხდა, შეძენილია მდიდარი გამოცდილება პარტიულ მშენებლობაში. მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის არსებული წესდების ზოგიერთი დებულება მოძველდა და არ შეესაბამება შინაპარტიული ცხოვრების თანამედროვე მოთხოვნებს. ახალი დიდი ამოცანები, რომლებიც პარტიას დასახული აქვს სოციალიზმის მშენებლობის დარგში, მოითხოვენ პარტიის წევრთა პასუხისმგებლობის გადიდებას.

შემდეგ ამხანაგმა დამბამ დაწერილებით მოახსენა ყრილობას, რა ცვლილებებისა და დამატებების შეტანაა საჭირო პარტიის წესდებაში და ანალიზი გაუკეთა მათ. დასასრულ ამხანაგმა დამბამ თქვა:

ორი თვის წინათ გამოქვეყნებული შეცვლილი წესდების პროექტის განხილვა ჩვენი პარტიის რიგების ერთიანობისა და დარაზმულობის დემონსტრაცია იყო. ეკვი არ არის, რომ ჩვენი პარტია, რომელიც ბოლომდე ერთგულია მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრებისა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი დროშისა, კვლავაც გულმოდგინედ ისწავლის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მსოფლიო-ისტორიულ გამოცდილებაზე, განვითარდება, როგორც მარქსისტულ-ლენინური პარტია.

იმ ისტორიული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის, რომლებიც მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XII ყრილობამ დასახა, საჭიროა ყველა პარტიული და სახელმწიფო ორგანიზაციის, პარტიის ყველა წევრის დიდი ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობა.

ამიტომ პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა კიდევ უფრო აამაღლონ ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის დონე, დღითიდღე განამტკიცონ პარტიის რიგები, გაამლიერონ მისი წევრების ავანგარდული როლი და თვითეული პარტიული ორგანიზაციის პასუხისმგებლობა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი.

ყრილობას მისალმები მიმართეს უნგრეთის მშრომელთა პარტიისა და რუმინეთის მუშათა პარტიის დელეგაციებმა. გამოქვეყნდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მისასალმებელი წერილი.

ხვალ ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

ნერუს სიტყვა სახალხო კრებაში

დელი, 23 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ინდოეთის საინფორმაციო ბიურო იუწყება, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ გუშინ სახალხო პალატაში განცხადება გააკეთა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მოგზაურობის შესახებ.

ხანგრძლივი მოლაპარაკების დროს, რომელიც ჩინეთის მთავრობის ლიდერებთან მქონდა, თქვა კერძოდ, ნერუმ, ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ამ განსხვავებამ, რაც ჩვენს პოლიტიკურ და ეკონომიურ სტრუქტურებში არსებობს, ხელი არ უნდა შეუშალოს ჩვენს თანამშრომლობას ბევრ დარგში, და განსაკუთრებით ჩვენს მოქმედებაში, რომლის მიზანია აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფა. ჩვენი მოლაპარაკების საფუძველი იყო მშვიდობის შენარჩუნება, რამდენადაც ჩვენ ორივე მტკიცედ ვადგავართ იმ აზრს, რომ მშვიდობა საჭიროა, რათა შეგვეძლოს განვახორციელოთ მშენებლობა ჩვენს ქვეყნებში, რომ არაფერი ვთქვათ მშვიდობის სასარგებლო ასპექტებზე საერთოდ.

ჩვენ მხედველობაში გვქონდა მშვიდობა არა როგორც ომის თავიდან აცილების ნეგატიური საშუალება, ზარამედ როგორც პოზიტიური და მხსნელი რამ, რომელსაც თან მოაქვს განთავისუფლება შიშისა და ეკვისაგან, აგრეთვე გარკვეული ნდობა, რომელიც პროგრესული თანამშრომლობის საშუალებას იძლევა.

თვით ფაქტი დიდი ურთიერთგაგებისა ინდოეთსა და ჩინეთს შორის, განაგრძო ნერუმ, არის ფაქტორი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ამ ორი ქვეყნისათვის, არამედ სხვა ქვეყნებისთვისაც. ამიტომ პრემიერ ჯოუ ენ-ლაის ვიზიტს ინდოეთში და ჩემს ვიზიტს ჩინეთში გარკვეული ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

შემდეგ ნერუმ აღნიშნა, რომ პეკინში მისი ყოფნის დროს, აგრეთვე მანამდე, დელში ჯოუ ენ-ლაის ვიზიტის დროს, განხილულ იქნა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პრობლემები.

ხუთი პრინციპი, რომელთა შესახებ ჩვენ თანხმობას მივაღწიეთ რამდენიმე თვის წინათ, განაგრძო ნერუმ, როგორც ჩანს, მტკიცე ბაზას უქმნის ქვეყნებს შორის მეგობრულ ურთიერთობას.

მე მგონია, რომ ყველა ქვეყნის ხალხები ესწრაფვიან მშვიდობას და სურთ მეგობრული ურთიერთობა ჰქონდეთ ერთმანეთთან. მაგრამ ნორმალური ურთიერთობისა და ურთიერთგაგების გზაზე არის ისეთი გარემოებანი, რომლებმაც გამოიწვია ღრმა უნდობლობა ერთმანეთისადმი. მე მიმაჩნია, რომ ურთიერთობისა და ურთიერთგაგების დამყარების გზაზე არსებული ყველა დაბრკოლების აღმოფხვრამ ხელი უნდა შეუწყოს ამ უნდობლობის ლიკვიდაციას. ეს ურთიერთგაგება გარკვეული ზომით დამყარდა ინდოეთსა და ჩინეთს შორის, და ამიტომ უნდა მივესალმოთ, რომ ეს უფრო ფართო მასშტაბითაც იყოს, და იგი აგრეთვე ნაბიჯია აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისკენაც კი.

ჟენევის თათბირი, ხაზგასმით აღნიშნა შემდეგ ნერუმ, მოგრუნების პუნქტია ომისშემდგომ ისტორიაში. სამწუხაროდ, მანილის ხელშეკრულებამ გარკვეული ზომით გააუარესა ახალი ვითარება, რომელიც ჟენევის თათბირის შედეგად იქმნებოდა.

საერთოდ ვიტყვი, რომ ჩინეთში ჩემი ვიზიტის პოლიტიკური შედეგია უფრო ღრმა გაგება ინდოეთსა და ჩინეთს შორის, უფრო ღრმა გაგება იმისა, თუ რის მომხრენი არიან ისინი და რის სასარგებლოდ მუშაობენ, აგრეთვე გაგება იმისა, რომ ბევრი რამ არის საერთო მათ წინაშე მდგომ ამოცანებში, და რომ მათ სურთ ითანამშრომლონ რაც შეიძლება უფრო ფართო მასშტაბით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეცხრე სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). პოლიტიკური კომიტეტის დილის სხდომაზე საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. სობოლევმა სიტყვა წარმოთქვა კომიტეტში ოფიციალურად შეტანილი საბჭოთა შესწორების დასასაბუთებლად შვიდთა რეზოლუციის „ა“ განყოფილების მეორე პუნქტის გამო. შესწორება მოითხოვს ეს პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„2. ურჩევს, რომ ეს ორგანო შეიქმნას როგორც ისეთი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია გენერალური ასამბლეის წინაშე, და იმ შემთხვევებში, რომლებსაც თვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, უშიშროების საბჭოს წინაშე“.

შემდეგ სიტყვა აიღო ინდოეთის წარმომადგენელმა მენონმა. ინდოეთის დელეგატს სიტყვა შეაწყვეტინა პოლიტიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ურუტიამ, რომელმაც კომიტეტის წევრებს აუწყა, რომ უეცრად გარდაიცვალა სსრ კავშირის დელეგაციის შეთაური ა. ი. ვიშინსკი. თავმჯდომარის წინადადებით პოლიტიკური კომიტეტის წევრებმა ერთი წუთის დუმილით პატივი სცეს ა. ი. ვიშინსკის ხსოვნას. გლოვის ნიშნად კომიტეტმა მუშაობა შეწყვიტა და დღის სხდომა გადადო.

22 ნოემბრის დღის პლენარული სხდომა

ნიუ-იორკი, 23 ნოემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გუშინდელ დილის პლენარულ სხდომაზე გამოვიდა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი მენდეს-ფრანსი.

თავის გამოსვლაში იგი შეეხო განიარაღების საკითხს, ატომის ენერგიის სამშვიდობოდ გამოყენების, „სუსტად განვითარებული“ ქვეყნებისათვის ეკონომიური დახმარებისა და ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა საკითხს და სხვ.

შეეხო რა განიარაღების საკითხს, მენდეს-ფრანსმა აღნიშნა „თვალსაზრისთა ერთგვაარი შეთანხმებულობა“. მისი აზრით, განიარაღების საკითხის განხილვა ამჟამად შეიძლება განხორციელდეს უფრო რეალისტურ ფარგლებში. მაგრამ მენდეს-ფრანსმა თავის გამოსვლაში დუმილით აუარა გვერდი იმ ფაქტს, რომ დასავლეთ გერმანიის შეიარაღება გამოიწვევს გამალებულ შეიარაღებას, რაც თავის მხრივ გააძნელებს შეიარაღების შემცირების საკითხის განხილვას.

მენდეს-ფრანსი მოწონებით გამოეხმაურა ატომის ენერგიის სამშვიდობო გამოყენებაზე შვიდთა რეზოლუციის პროექტს.

შეეხო რა შემდეგ პარიზის შეთანხმებებს, რომლებიც, როგორც ცნობილია, მოწოდებული არიან ალღორძინონ გერმანიის მილიტარიზმი, მენდეს-ფრანსი ყოველნაირად იცავდა ამ შეთანხმებებს. იგი კვლავ ამტკიცებდა, რომ მოლაპარაკება სსკ-ოთა კავშირთან უნდა გაიმართოს მხოლოდ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შემდეგ.

უარი თქვა რა იმაზე, რომ ევროპის კოლექტიური უშიშროების საკითხი განხილულ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციამდე, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ფაქტიურად მიეჭრა ევროპის გათიშვას სახელმწიფოთა დაპირისპირებულ დაჯგუფებებად, გერმანიის გათიშვის დამკვიდრებას, რაც აუცილებლად გამოიწვევს გამალებულ შეიარაღებას და შეუქმნის სერიოზულ საფრთხეს როგორც საფრანგეთის უშიშროებას, ისე მშვიდობას დედამიწის ამ რაიონში.

ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნისათვის

გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის განცხადება

ბერლინი, 23 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ადენ-ის საგენტო იუწყება, გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობამ თავის მეთექვსმეტე პლენუმზე მიიღო განცხადება საბჭოთა მთავრობის 13 ნოემბრის ნოტის გამო.

გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობა, ნათქვამია, კერძოდ, განცხადებაში, მოითხოვს, რომ ფედერალური რესპუბლიკის მთავრობამ მოიწონოს საბჭოთა კავშირის წინადადება და მონაწილეობა მიიღოს თათბირში. ხალხებს შვიდობიანი და უშიშარი ცხოვრება სურთ. იმ საშიში მდგომარეობის გამო, რაც წარმოიშვა ხელახლა შეიარაღების შესახებ პარიზის შეთანხმებებთან დაკავშირებით, დასავლეთ გერმანიის მოსახლეობა მიესალმება საბჭოთა კავშირის წინადადებებს, რომლებიც სახავენ მისაღებ და საიმედო გზას ევროპის სახელმწიფოებს შორის შეთანხმების მიღწევისათვის.

გერმანელ ხალხს, ხაზგასმით აღნიშნულია განცხადებაში, განსაკუთრებული საფუძველი აქვს ომისათვის, რომ მხარი დაუჭიროს წინადადებას ევროპის კოლექტიურ უშიშროებაზე ხელშეკრულების დადების შესახებ, რადგან ეს დაიჩქარებს და გააადვილებს ჩვენი საშშობლოს გაერთიანებას მშვიდობიანი გზით, მაშინ როცა პარიზის შეთანხმებათა განხორციელება გააღრმავებს გერმანიის გათიშვას, ბედის ამარად დატოვებს საარის ოლქს და გააძლიერებს ახალი ომის საფრთხეს. თვითეული გერმანელის, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი პასუხისმგებლობა, ეროვნული ვალია — ხელი შეუწყოს ყველა ღონისძიებას, რომელიც ემსახურება ევროპის უშიშროების საქმეს, რადგან იგი ხელს შეუწყობს გერმანიის საკითხის მშვიდობიან გადაჭრას. ამიტომ საჭიროა თათბირში მონაწილეობა მიიღონ გერმანიის ორივე ნაწილის წარმომადგენლებმა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობას სასურველად მიაჩნია, რომ გერმანიის ორივე ნაწილის წარმომადგენლები შეთანხმდნენ იმის შესახებ, თუ ერთობლივად როგორ დაიცვან გერმანელთა თვალსაზრისი, მთელი ხალხის ეროვნული მისწრაფებანი და როგორ განახორციელონ ეს, სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შესახებ შეთანხმების სულისკვეთებით.

გულგარეთი ხალხი სასიცოცხლოდ დაინტერესებულია ევროპის მშვიდობითა და უშიშროებით

გულგარეთის სახალხო კრების სხდომა

სოფია, 23 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ გაიმართა ბულგარეთის სახალხო კრების პრეზიდიუმის, ბიუროსა და საგარეო საქმეთა კომისიის და სამამულო ფრონტის ეროვნული საბჭოს გაერთიანებული სხდომა, რათა განეხილა საბჭოთა კავშირის წინადადება, რომ ამა წლის 29 ნოემბერს მოეწყოს სრულიად ევროპის თათბირი ევროპის კოლექტიური უშიშროების საკითხზე.

სიტყვა წარმოთქვა ეროვნული კრების საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ დიმიტრ განევმა. გაერთიანებულმა სხდომამ მიიღო განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

სახალხო კრების პრეზიდიუმი, სახალხო კრების ბიუროსა, სამამულო ფრონტის ეროვნული საბჭო და სახალხო კრების საგარეო საქმეთა კომისია მიესალმებიან და უეჭველად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის წინადადებას, რომ მოეწყოს სრულიად ევროპის თათბირი ევროპის კოლექტიური უშიშროების საკითხზე და ერთსულოვნად იწონებენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებას — მონაწილეობა მიიღოს ამ თათბირში.

სრულიად ევროპის თათბირი ყველაზე ხელსაყრელი და მიზანშეწონილი საშუალებაა, რომელიც შექმნის იმის შესაძლებლობას, რომ მოხდეს აზრთა ფართო გაცვლა ყველა დაინტერესებულ ქვეყანას — დიდ და მცირე ქვეყნებს შორის, იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნას მისაღები გადაწყვეტილება ევროპის ხალხებისათვის ისეთ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხზე, როგორიც არის ევროპის შშვიდობის უზრუნველყოფის საკითხი.

თუ პარიზის შეთანხმებანი ძალაში შევიდა, გარდუვალად გამწვავდება ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობა, გაძლიერდება გამალებული შეიარაღება, მნიშვნელოვნად გადიდდება სამხედრო ხარჯების ტვირთი, რაც მშრომელებს დააწვება. ასეთი მდგომარეობა უეჭველია სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა ევროპის ხალხების უშიშროებასა და ევროპის მშვიდობას...

ევროპის მშვიდობა შეიძლება შენარჩუნებულ იქნას მხოლოდ ევროპის ყველა ხალხის ერთობლივი მოქმედებით, რათა შეიქმნას ყველასთვის მისაღები ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემა. სწორედ ასეთ სისტემას ითვალისწინებს საბჭოთა კავშირის მთავრობა.

დღევანდელი მოქმედი ევროპის მთელი რიგი ქვეყნების პარლამენტებისაგან მოითხოვს მიიღონ განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, რომელთა შედეგებს შესაძლებელია გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეთ ევროპის მშვიდობის საქმისათვის. აქედან გამომდინარეობს იმ ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეთა განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, რომელთა პარლამენტები ახლო მომავალში განიხილავენ პარიზის შეთანხმებათა საკითხს. ამ შეთანხმებათა რატიფიკაცია ხელფეხს გაუსწორებდ დასავლეთ გერმანიის მილიტარისტებს, შეუძლებელს გახდიდა გერმანიის გაერთიანებას სრულიად გერმანიის არჩევნების მოწყობის გზით და შექმნიდა ომის საშიშ კერას ევროპის გულში.

სახალხო კრების პრეზიდიუმმა, სახალხო კრების ბიურომ, სამამულო ფრონტის ეროვნულმა საბჭომ და სახალხო კრების საგარეო საქმეთა კომისიამ ევროპის ქვეყნების პარლამენტების დეპუტატებს მოუწოდეს გაალმაჩონ პარიზის შეთანხმებათა წინააღმდეგ, იხელმძღვანელონ თავიანთი ხალხების ინტერესებით და ევროპის ქვეყნების მთავრობებს მოსთხოვონ მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა კავშირის მიერ დასახულ სრულიად ევროპის თათბირში, რომელიც განიხილავს ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხს.

ვაშინგტონში მენდეს-ფრანსის მოლაპარაკების გამო

პარიზი, 23 ნოემბერი. (საკდესი). პარიზის გაზეთები მეტად თავშეკავებით უკეთებენ კომენტარს ვაშინგტონში მენდეს-ფრანსის მოლაპარაკების შედეგებს. გაზეთი „მონდი“ წერს, რომ მენდეს-ფრანსმა ამერიკის სახელმწიფო მოღვაწეებისაგან ვერ მიიღო „ვერც საარის სტატუსის გარანტირების ზუსტი დაპირება, ვერც ომის დაპირება, რომ მხარს დაუჭერენ შეიარაღების ევროპული გაერთიანების საფრანგეთის გეგმებს“. „მოკლედ რომ ითქვას, — განაგრძობს „მონდი“, — თუ ვიმსჯელებთ ოფიციალური კომუნიკეს მიხედვით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ საფრანგეთ-ამერიკის მოლაპარაკებას ვაშინგტონში არ მოჰყოლია ისეთი შედეგები, რომლებსაც შეეძლოთ მნიშვნელოვნად შეცვალონ გადაუჭრელი პრობლემების მდგომარეობა, ზოგიერთ მათგანზე კი სერიოზულად არის დამოკიდებული საფრანგეთის ბედი“.

ნიუ-იორკი, 23 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი რესტონი ამტკიცებს, რომ ყველაზე მაღალი ოფიციალური წრეები ვაშინგტონში კმაყოფილებას გამოთქვამენ მენდეს-ფრანსთან მოლაპარაკებით.

რესტონი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც საფრანგეთის პარლამენტმა ჩაფუშა „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის გეგმა, ბევრი ოფიციალური წარმომადგენელი ვაშინგტონში მენდეს-ფრანსს ეკვის თვალით უცქეროდა. რესტონის სიტყვით, მენდეს-ფრანსის გამგზავრებამ აღმოფხვრა ეს „ეკვი“.

„მენდეს-ფრანსის შესახებ ოფიციალურ პირთა აზრის შეცვლა საოცარია, — წერს რესტონი. — სამი თვის წინათ ბევრი ოფიციალური წარმომადგენლისათვის მისასალმებელი იქნებოდა მისი მთავრობის დამხობა. ამჟამად ოფიციალურ წრეებში მიშობენ, რომ იგი საკმაოდ დიდხანს ვერ გაძლებს მთავრობის სათავეში...“

სპორტის ამბები

შეჯიბრება მსოფლიო პირველობაზე სასროლო სპორტში

კარაკასი, 22 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ აქ გაიმართა შეჯიბრება მსოფლიო პირად-გუნდურ პირველობაზე ნებისმიერი დიდყალიბიანი შაშხანის სროლაში 300 მეტრზე. პროგრამის შესაბამისად გუნდური პირველობა გათამაშდა მხოლოდ სამი მდგომარეობით — წოლელა, ჩოქელა და დგომელა სროლით შეგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით; პირად პირველობაში ბრძოლა მიმდინარეობდა მსოფლიო ჩემპიონის წოდებისათვის სამი მდგომარეობის ქულათა ჯამის მიხედვით და მსოფლიო ჩემპიონის წოდებისათვის ყოველ ამ მდგომარეობაში.

საბჭოთა მსროლელების გუნდმა (ვ. ბორისოვი, ა. ბოგდანოვი, ვ. კრიშენევსკი, მ. იტკისი, პ. პავლოვი) კვლავ ცხადყო გამარჯვებისადმი შეუპოვარი მისწრაფება და მაღალი სასროლო ოსტატობა, გუნდური პირველობა მოიპოვა სამი მდგომარეობის ქულათა ჯამის მიხედვით და შედეგად დამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი. სსრ კავშირის გუნდმა აგრეთვე ახალი მსოფლიო რეკორდები დაამყარა თვითეულ ამ მდგომარეობით სროლაში. წინასწარი ცნობებით გამარჯვება პირად პირველობაში ყველა მდგომარეობით და სამი მდგომარეობის ქულათა ჯამით მოიპოვეს აგრეთვე საბჭოთა მსროლელებმა.

საბოლოო ოფიციალური შედეგები გამოცხადდება 22 ნოემბერს.

საბჭოთა და ალბანელი ფეხბურთელების შეხვედრა

ტირანა, 22 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ალბანეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გუშინ ქალაქ შკოდერში (ალბანეთი) გაიმართა ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში პროფკავშირული სასპორტო საზოგადოება „პუნის“ ნაკრებ გუნდსა და ალბანეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურთან დაკავშირებით ალბანეთში ჩამოსულ ლენინგრადის „შრომითი რეზერვების“ გუნდს შორის.

მატჩი დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით ანგარიშით 1:0. თამაშის პირველ ნახევარში 33-ე წუთზე საბჭოთა გუნდმა ბურთი გაიტანა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით.

გამარჯვებულთა დაჯილდოება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა საბჭოთა კავშირის 1954 წლის ჩემპიონი ფეხბურთში — მოსკოვის „დინამოს“ გუნდი დაჯილდოვა ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და პირველი ხარისხის დიპლომით. დედაქალაქის „დინამოს“ ფეხბურთელები — ლ. იაშინი, ა. როდიონოვი, კ. კრიჟევსკი, ბ. კუზნეცოვი, ე. ბაიკოვი, ვ. სავდუნინი, ვ. რიეკინი, ა. მამედოვი, გ. ბონდარენკო, ვ. ილინი, ვ. შაბროვი და ს. სალნიკოვი დაჯილდოებული არიან პირველი ხარისხის ოქროს მედლებით და დიპლომებით, აგრეთვე სსრ კავშირის ჩემპიონის მაისურებით.

გუნდის უფროსი მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. იაკუშინი და მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ბლინკოვი დაჯილდოებული არიან პირველი ხარისხის დიპლომებით.

საკავშირო ჩემპიონატში მეორე ადგილზე გამოსული მოსკოვის „სპარტაკის“, აგრეთვე მესამე ადგილზე გამოსული მინსკის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა კოლექტივები დაჯილდოებულნი ეიმ მეორე და მესამე ხარისხის დიპლომებით, ფეხბურთელები — ვერცხლისა და ბრინჯაოს медალებით, მწვრთნელები — მეორე და მესამე ხარისხის დიპლომებით.

აგიტმხატვრული ბრიგადა თიანეთში

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ ამ დღეებში თიანეთის რაიონში მიავლინა სახელმწიფო ფილარმონიის აგიტმხატვრული ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობდა მსახიობი მ. ჯოჯუა.

აგიტმხატვრულმა ბრიგადამ რაიონის კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთათვის კულტურის რაიონულ სახლში გამართა მხატვრული საღამო. საღამის დიდძალი მაყურებელი დაესწრო. მსახიობებმა შეასრულეს მრავალსახა სიმღერა, [illegible] ტრიტები და ვოდევილები.

მხატვრული [illegible] მაყურებლებმა [illegible] მსახიობებს.

დ. ბადურაშვილი,

გაზეთ „ახალი თიანეთის“ რედაქციის მდივანი.

ფართო მოხმარებისათვის

ყოველწლიურად იზრდება თბილისის მარმარილოს დამამუშავებელი ქარხნის ძირითადი პროდუქციის — მარმარილოს დაფების გამოშვება. გარდა ამისა, დიდი ყურადღება ექცევა მარმარილოსგან დამზადებული ფართო მოხმარების საგნების გამოშვებას. აქ კეთდება მარმარილოს სამელწეები, დაფები ბირსმანეთისათვის, კალენდრებისათვის. ერთი თვეა, რაც აითვისეს ოთხკუთხი და მრგვალი მაგიდების, დაფების გამოშვება. წელს დამზადებულია 3.600.000 მანეთის ფართო მოხმარების საგნები.

***

დიდი რაოდენობით ამზადებს ფართო მოხმარების სამრეწველო საქონელს თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხანა. აქ კეთდება სხვადასხვა სახის ლითონის საწოლები თავისი ბადეებით, სამზარეულოს ზოგიერთი ჭურჭელი, სხვადასხვა ზომის ლურსმანი და სხვ.

ოქტომბერში ქარხანამ გამოუშვა ლამაზი ჭაღებისა და აბაჟურების პირველი პარტია. უახლოეს ხანში მათი დამზადება მასობრივად დაიწყება.

ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 26 და 27 ნოემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცალკეული მოღრუბლულობა, სანაპირო რაიონებში დროგამოშვებით ნალექი, შიდა რაიონებში მეტწილად უნალექოდ. აღმოსავლეთის ზომიერი, რიონის ხეობაში ძლიერი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 3-8, დღისით 12-17 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 4 გრადუსი ყინვა — 1 გრადუსი სითბო, დღისით 3-8 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში: დასავლეთ რაიონებში ცალკეული მოღრუბლულობა, მეტწილად უნალექოდ; აღმოსავლეთ რაიონებში მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, დროგამოშვებით ნალექი. აღმოსავლეთის ზომიერი, გორისა და ხაშურის რაიონებში ძლიერი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 0-5, დღისით 3-8 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 3-8 გრადუსი ყინვა, დღისით 0-5 გრადუსი სითბო.

რედაქტორი ნ. ჯაში.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი

(1951 წლის გამოშვება)

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა მე-6 ტირაჟისა,

რომელიც გაიმართა 1954 წლის 14 ნოემბერს ქალაქ პსკოვში.

მოგება ხვდა სესხის ყველა თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
100179	37*)	1.000	105123	1—50	200	110277	21*)	1.000	116138	21*)	1.000
100269	20*)	1.000	105241	19*)	1.000	110453	1—50	200	116210	08*)	1.000
100494	34*)	1.000	105502	06*)	1.000	110533	1—50	500	116312	04*)	25.000
100535	15*)	1.000	105521	16*)	1.000	110757	38*)	10.000	116340	02*)	1.000
100610	1—50	500	105776	1—50	200	111028	1—50	200	116502	30*)	1.000
100622	49*)	1.000	105804	25*)	1.000	111190	1—50	200	116629	1—50	200
100672	05*)	1.000	106018	20*)	1.000	111324	39*)	1.000	116663	1—50	200
100694	14*)	1.000	106102	02*)	1.000	111633	1—50	200	116699	1—50	200
101020	1—50	500	106206	11*)	5.000	111705	18*)	1.000	116761	02*)	1.000
101087	1—50	200	106240	1—50	200	111741	1—50	200	116784	29*)	10.000
101219	1—50	200	106321	1—50	200	111882	49*)	5.000	116891	02*)	1.000
101225	28*)	1.000	106376	02*)	1.000	112031	31*)	1.000	116960	1—50	500
101598	1—50	200	106833	38*)	1.000	112065	48*)	1.000	116991	11*)	1.000
101808	1—50	200	106874	25*)	1.000	112170	1—50	500	117017	41*)	1.000
101924	1—50	200	106928	22*)	1.000	112223	41*)	1.000	117105	27*)	1.000
101930	23*)	10.000	107021	50*)	1.000	112258	46*)	1.000	117260	14*)	1.000
102188	34*)	5.000	107023	1—50	200	112513	1—50	200	117291	24*)	1.000
102199	1—50	200	107036	1—50	200	112546	1—50	500	117356	36*)	1.000
102270	34*)	1.000	107411	11*)	1.000	112738	30*)	1.000	117423	02*)	1.000
102489	20*)	1.000	107498	1—50	500	112757	20*)	1.000	117487	19*)	1.000
102494	1—50	200	107668	06*)	1.000	112764	48*)	1.000	117571	1—50	200
102650	35*)	5.000	107779	03*)	1.000	112874	1—50	500	117590	1—50	200
102744	1—50	200	107942	1—50	200	112890	30*)	1.000	117709	40*)	1.000
103079	24*)	1.000	107944	1—50	200	113053	1—50	200	117717	37*)	1.000
103207	1—50	200	107973	37*)	1.000	113286	08*)	1.000	117744	33*)	1.000
103273	1—50	200	108262	1—50	200	113345	21*)	5.000	117797	38*)	1.000
103404	1—50	500	108361	02*)	1.000	113456	27*)	1.000	117837	27*)	1.000
103485	31*)	1.000	108390	14*)	1.000	113518	1—50	200	118048	40*)	1.000
103590	1—50	200	108403	1—50	200	113754	1—50	200	118080	25*)	1.000
103675	1—50	500	108439	1—50	500	113949	06*)	1.000	118083	13*)	1.000
103749	1—50	200	108563	23*)	1.000	113980	25*)	1.000	118558	1—50	500
104115	1—50	200	108586	24*)	1.000	114092	27*)	5.000	118611	16*)	1.000
104116	16*)	5.000	108716	39*)	1.000	114149	1—50	200	118633	11*)	1.000
104246	1—50	500	108734	19*)	1.000	114194	13*)	1.000	118761	19*)	1.000
104309	1—50	200	108744	29*)	10.000	114375	1—50	500	118829	36*)	1.000
104442	1—50	200	108908	48*)